# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 14 ნოემბერი 1995 № 75 (213) ფასი 30 თეთრი

## ხვალ კიშინიოვში საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ თამაშს გამართავს

მოლდოვაში გამგზავრებამდე ნაკრებმა ტრადიციული საკონტროლო შეხვედრა გამართა დიღომში, ამჯერად „დინამო-2“-თან, უფრო სწორად, ნაკრების ნაწილსა და ამ გუნდის ნაზავთან. ცვლილებებიც პირობითი იყო — მოთამაშენი მოედანზევე „იცვლიდნენ“ გუნდებს და აქეთ-იქით „მოგზაურობდნენ“. ამ მოგზაურობაში შოთა არველაძემ ორივე მხარე გაანაწყენა, ერთხელ — დინამოელები, ორჯერ კი ნაკრები, თუმცა სამივე შემთხვევაში მისი საკბილო დევაძე აღმოჩნდა. საბოლოოდ, ნაკრებმა გაიმარჯვა 4:2. გოლები: შ. არველაძე, ჯამარაული, ქეცბაია, ა. არველაძე (ნაკრები), ცქიტიშვილი, შ. არველაძე-2 („დინამო-2“)



## გონიერსა მწვრთნელი უყვარს...

სალამოს ფეხბურთელები სპორტის სასახლეში საქართველოსა და ისრაელის კალათბურთელთა შეხვედრას დაესწრნენ.

კიშინიოვში ნაკრებს ახლავს „სარბიელის“ კორესპონდენტი მერაბ რატიშვილი, რომლის რეპორტაჟსაც პარასკევს წაიკითხავთ

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

| | |
|---|---|
| საქართველო | – 84 |
| ისრაელი | – 89 |





გია ახალაძის ფოტოები

რეპორტაჟი სპორტის სასახლიდან — მეხუთე გვერდზე

# განწყობილება რევანშისტულია



პარასკევს, 10 ნოემბერს, საქართველოს ეროვნული ნაკრები დიღმის საწვრთნელ ბაზაზე სამოლდოვო შეკრება-სამზადისს შეუდგა. იმ დღესვე გუნდმა საღამოს პირს პირველად ივარჯიშა. ალექსანდრე ჩივაძის განკარგულებაში არიან დევაძე, ზოიძე, ბერაძე, მაჭავარიანი, ლობჟანიძე, კუდინოვი, ლუდუშაური, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ჯამარაული, ქინქლაძე, შოთა და არჩილ არველაძეები, დავით ჯანაშია, ცქიტიშვილი. მოწვეულთაგან არ იყო მხოლოდ თემურ ქეცბაია, რომელსაც მეორე დღისთვის ელოდნენ. მეორე დღიდან ნაკრები ჩვეულ, ორჯერადი ვარჯიშის რეჟიმზე გადავიდა. დილის ვარჯიშის შემდეგ ბიჭები კოხტად გამოეწყვნენ და ნასასვლელად გაემზადნენ. იქ მყოფებს ეს ამბავი ცოტა არ იყოს, გვეუცხოვა, მაგრამ მალე ყველაფერი გაირკვა: გელა ინალიშვილის ქორწილში მიდიოდნენ თურმე. ალექსანდრე ჩივაძემ ბიჭები მისალოცად გაუშვა და ბაზაზე ოთხის ნახევარზე დაიბარა. რას ნიშნავს ქართველი კაცისთვის ქორწილში ნასვლა, ყველამ იცის, ამიტომ დათქმული დროისთვის არცთუ იმედიანად ველოდი ფეხბურთელებს, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც უკლებლივ ყველა ზუსტად სამ საათზე დაბრუნდა. აი, მაშინ კი საბოლოოდ ვირწმუნე მათი პროფესიონალიზმი და გულდამშვიდებული დაველოდე ვარჯიშს... ჩივაძემ ფეხბურთელები ჯერ თეორიულ მეცადინეობაზე შეიყვანა, მერე კი ყველა მინდორზე გავიდა. ბიჭები საკმაოდ ხალისიანად და ენერგიულად შეუდგნენ მწვრთნელის დავალებების შესრულებას, ზოიძეს და დევაძეს იური სტადუხინი უშრობდა სისხლს. შემოდგომის კვალობაზე საშინლად სუსხიანი ამინდის მიუხედავად, ნაკრებმა ნაყოფიერად ივარჯიშა. ის კი არა, წვრთნა რომ დამთავრდა და მეგონა, ბიჭები დასაბანად გაიქცევიან-მეთქი, უმრავლესობამ ცალ-ცალკე გააგრძელა წვრთნა. ნაკრების თავკაცს კი თემურ ქეცბაიას ჩამოუსვლელობა ადარდებდა, რომელიც უცნობ მიზეზთა გამო იგვიანებდა. როგორც იქნა, ფეხბურთელები ვარჯიშსაც მორჩნენ და რამდენიმეს საუცბათეოდ გამოველაპარაკეთ...

## დიმიტრი კუდინოვი

**— ყველას რომ „არისში“ გვეგონე, „ოლიმპიაკოსში“ როგორღა აღმოჩნდი?**

— „ოლიმპიაკოსში“ იმიტომ გადავედი, რომ ეს გუნდი უფრო სახელიანია და უფრო დიდი მიზნებიც ჰქონდა. თანაც, შეუდარებლად უკეთესი პირობები შემომთავაზეს. მეც ბევრი არ მიყოყმანია, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ არჩევანში შევცდი.

**— ახალ კლუბში რაიმე გართულებებია?**

— პირადად მე არაფერი გამრთულებია, მაგრამ კლუბის საქმეები აირია. ადრე თუ ევროთასებზე გამოსვლას გეგმავდნენ, ახლა ლიგაში დარჩენაზე ოცნებობენ. ვერა და ვერ მოხერხდა სასურველი თამაშის მიგნება. მოკლედ, ცოტა არ იყოს, რთული ვითარებაა.

**— რა ამპლუაში გათამაშებენ?**

— ჩვეულებრივად — დაცვაში. ხან ლიბეროდ, ხანაც წინა მცველად, ჯერ-ჯერობით გუნდს ჩემი მიზეზით არ წაუგია.

**— მეკარედ და თავდამსხმელად არ გითამაშია, თორემ თითქმის ყველა ადგილი მოსინჯე. გერმანელებთან საყრდენი ნახევარმცველიც იყავი. თავად სად გირჩევნია თამაში?**

— საერთოდ, ლიბეროდ თამაში ყველაფერს მირჩევნია, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა, მე პროფესიონალი ვარ, ამიტომაც სადაც დამაყენებენ, ვალდებული ვარ, იმ ადგილზე ისე ვითამაშო, პრეტენზია არავის გაუჩნდეს. ახალგაზრდობაში, როცა მეტი ჯანი მქონდა, მარცხენა მცველობა მერჩივნა ყველაფერს.

**— დაცვის ცენტრში ვისთან უფრო გიადვილდება თამაში?**

— მურთაზ შელიასთან. ნაკრებში ხშირად ერთად გვიწევდა მეტოქის თავდამსხმელებთან ბრძოლა, ამიტომაც კარგად შევეწყეთ. დასანანია, რომ მოლდოვასთან მურთაზი არ იქნება, მაგრამ არაუშავს, იმედი მაქვს, მალე გამოჯანმრთელდება.

**— შეიძლებოდა თუ არა შესარჩევ ტურნირში უფრო კარგად გამოსვლა?**

— რა თქმა უნდა. შეუძლებელი არაფერია და არც დაუმარცხებელი გუნდები არსებობენ. ბევრი მიზეზი შეიძლება დავასახელოთ, მაგრამ, ჩემი აზრით, ძირითადად გამოუცდელობის ბრალია ყველაფერი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს ახლა რომ ვიწყებდეთ, დარწმუნებული ვარ, ინგლისში ჩვენ მოვხვდებოდით. ჩვენს ნაკრებს ყველაფერი წინ აქვს და თავის სათქმელს უეჭველად იტყვის.

**— შენს მიერ ნათამაშებ მატჩთაგან, რომელს გამოარჩევ?**

— რა თქმა უნდა, ბულგარელებთან თბილისში თამაშს. ჩვენ ხომ უსაზღვროდ გავიხარეთ, მაგრამ არანაკლებ გაიხარეს ქართველმა გულშემატკივრებმაც. ჩვენთვისაც ხომ ესაა მთავარი.

**— როგორ გგონია, მოლდოვასთან ძალიან გაგიჭირდებათ?**

— სხვადასხვა მიზეზით ნაკრების ბევრი წევრი გვაკლია, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ მხოლოდ რევანშზე ვფიქრობთ და გამარჯვებისთვის მივემგზავრებით.

## გიორგი ჩიხრაძე

**— როგორც შევიტყვეთ, გახმაურებული ტერაქტის მერე „შახტიორში“ მთლად დალაგებულად ვერ უნდა იყოს საქმე...**

— ჩვენი კლუბის პრეზიდენტის ბრაგინის დაღუპვას, რა თქმა უნდა, გართულებებიც მოჰყვა, მაგრამ ახლა მდგომარეობა სწორდება და მალე ალბათ ყველაფერი მოგვარდება. ეგაა, ახალი პრეზიდენტი ჯერ არ არჩეულა.

**— ბოლო მატჩში დიდი ანგარიშით — 0:3 დამარცხდით...**

— წაგებით კი წავაგეთ, მაგრამ ცოტა იღბალი რომ გვქონოდა, მოგებაც შეგვეძლო. მათ ყველა მომენტი გამოიყენეს, ჩვენმა თავდამსხმელებმა კი ორჯერ მეტი გააცუდეს. მოკლედ, წასაგები თამაში ნამდვილად არ იყო.

**— ძირითადში ფეხი მყარად მოიკიდე?**

— თავად განსაჯეთ — ყველა მატჩში ვითამაშე. მწვრთნელებიც მენდობიან და ჩემი იმედი აქვთ, მცველმა გოლის გატანაც მოვახერხე. ასე რომ, საპრეტენზიო ჩემთან არაფერი აქვთ.

**— თბილისში ბულგარელების მარცხს უკრაინაში როგორი გამოხმაურება მოჰყვა?**

— ამ გამარჯვებას ყველამ სენსაციური უწოდა. ჩვენს მოგებას არავინ ელოდა და, ცოტა არ იყოს, გაუკვირდათ კიდეც. ზოგიერთმა ეს ჩვეულებრივ ამბადაც მიიჩნია, რა არის გასაკვირიო, ამბობდნენ, აბა, ის დრო გაიხსენეთ, როცა ბულგარეთის ფეხბურთი საქართველოსას ახლოსაც ვერ მიეკარებოდაო, იმასაც მეუბნებოდნენ, თქვენთან ყოველთვის იყვნენ ტალანტები და, ადრე სხვა დრო რომ ყოფილიყო, ევროპაში ბევრი მათგანი გაბრწყინდებოდაო.

**— თავად როგორ გაიხსენებდით ამ თამაშს?**

— უბრალოდ, ბედნიერები ვართ იმით, რომ გულშემატკივრებს მშვენიერი საჩუქარი მივუძღვენით და გავახარეთ. თამაშის დაწყებამდე ვგრძნობდი, რომ ბულგარელებს დავამარცხებდით. ისე ყველაფერი კარგი აგვიხდეს, როგორც ამან გამიმართლა. საგოლე მომენტები არ გაგვეცუდებინა, მაშინ ნახე მათი გამწარება. იმ დღეს უბედნიერესი კაცი ვიყავი.

**— შენი აზრით, შესარჩევ ტურნირში უკეთ გამოსვლა თუ შეიძლებოდა?**

— ალბათ შეიძლებოდა, მაგრამ გამოუცდელობას რა ვუთხრა... იგივე ბულგარელები და გერმანელები ამ გზაზე ბევრჯერ მდგარან. მჯერა, მომავალში უკეთ ვიასპარეზებთ.

**— მოლდოვას რას უპირებთ?**

— მაგათთან მარცხი ყველას გულში ხიჩნჯად დარჩა თავს არ დავზოგავთ და რევანშს ვეცდებით. ბიჭები ამ აზრით არიან გაჟღენთილი და მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობენ.

## მამუკა მაჭავარიანი

**— თავიდან „დინამოში“ თამაშობდი, შემდეგ ლამის გუნდი არ დარჩა საქართველოში, შენ რომ არ გეთამაშოს. რატომ წახვედი „დინამოდან“?**

— „დინამოში“ ყიფიანმა ამიყვანა, შემდეგ ძოძუაშვილი მოვიდა.. ბატონი რეზო კარგი მწვრთნელია, მაგრამ ერთმანეთს ვერ შევეგუეთ და საქმე რომ არ გართულებულიყო, სხვა გუნდში წავედი. მერე თავისით აეწყო ყველაფერი და მეც კარგა ბლომად ვიმოგზაურე, მაგრამ ბოლოს გულმა თბილისისკენ გამომიწია. „დინამოს“ მაინც სხვა ჯადო აქვს.

**— ლიბეროდ თამაშსაც შეეგუე—**

— ამ პოზიციაზე ადრეც მითამაშია. მართალია, სხვა ადგილზეც მომისინჯავს ძალა, მაგრამ ლიბეროდ თამაში ძალიან მომწონს და, ვფიქრობ, საბოლოოდ ვიპოვე ჩემი ამპლუა.

**— როგორ გგონია, წელს დუბლის შესრულება გაგიჭირდებათ?**

— ამ ჩემპიონატში, ადრინდელთაგან განსხვავებით, არნახული კონკურენციაა, თანაც გაუთვალისწინებელი ქულებიც დავკარგეთ, რაც პირველ რიგში ჩვენივე ბრალია. ალბათ გამარჯვების მოპოვების სურვილს რაღაც დავაკელით. მაგრამ „დინამო“ მაინც „დინამოა“ და დუბლს აუცილებლად მოვახერხებთ.

**— შენს საუკეთესო მატჩად რომელს მიიჩნევ?**

— რა უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ჩემთვის ალბათ „ბოტევთან“ მატჩი იყო საუკეთესო — ეს იმ თვალსაზრისით, რომ ამ თამაშში ჩემი შესაძლებლობები უფრო გამოჩნდა. ისე, ბევრი სხვაც ყოფილა, რომელიც მეხსიერებას შემორჩა, მაგრამ გახსენებად არ ღირს.

**— კიშინოვში რას აპირებთ?**

— მხოლოდ გამარჯვებას. თავს არ დავზოგავთ და სამი ქულისთვის ვიბრძოლებთ. ბოლოსდაბოლოს, პრესტიჟის საქმეცაა, მათგან წყენა ხომ ახლაც გვახსოვს და რევანშის აღება რეაბილიტაცია იქნება.

## კახი გოგიჩაიშვილი

— ბულგარელებთან შეხვედრის შემდეგ ძალიან სერიოზულად ვვარჯიშობ. ხალისიც მოგვემატა. ყველა ამბობს, საქართველოს ნაკრები მომავლის გუნდიაო და ვცდილობ მეც ისე მოვემზადო, რომ მზად ვიყო იმ გუნდში სათამაშოდ.

**— საქართველო-ბულგარეთის მატჩის შემდეგ სტაბილურად მარცხენა ფლანგზე თამაშობ. გარკვეულ უხერხულობას ხომ არ გრძნობ მხარის შეცვლით...**

— საკმაოდ ნორმალურად ვგრძნობ თავს, არავითარი უხერხულობის განცდა არ გამჩენია. თამაშიც გამომდის. ადრეც მითამაშია მარცხენა ფლანგზე და დღეს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომელ მხარეს ვითამაშებ.

**— საქართველოს ნაკრები მომავლის გუნდიაო, თქვი. თუმცა კი, ზოგის აზრით, ამ ციკლშიც შეიძლებოდა ჯგუფიდან გასვლა. შენ რას ფიქრობ?**

— უფრო წარმატებული სტარტი და ცოტა მეტი იღბალი რომ გვქონოდა, მე მგონი შეგვეძლო. მართალია, საკუთრივ დავრწმუნდით, რა ძალისანი არიან გერმანია და ბულგარეთი, თუმცა მათი მოგება როგორ არ შეიძლებოდა? 11 ოქტომბერის შემდეგ ეს ყველამ ირწმუნა.

**— ამ შეხვედრის შემდეგ რომელიმე გუნდისგან მიწვევა ხომ არ მიგიღია?**

— ეს კლუბის ხელმძღვანელობას ეცოდინება, პირადად მე კი ჯერ-ჯერობით არაფერი ვიცი. თანაც, ახლა „დინამოს“ გაძლიერებაზეა საუბარი და თუ კარგ პირობებს თბილისში შეგვიქმნიან, „დინამოში“ დარჩენას ვამჯობინებთ.

**— წამყვანი მოთამაშეების არყოფნით მოლდოველებთან ჩვენი შანსი ხომ არ მცირდება?**

— თითქმის ყველა მატჩში ორი-სამი ფეხბურთელი გვაკლდა, მაგრამ გუნდი თავის სახეს მაინც წარმოაჩენდა. გამონაკლისი, ვფიქრობ, არც მოლდაველებთან შეხვედრა იქნება. თანაც, ამ მატჩში ჩვენ ერთგვარად გაბრაზებულები გამოვალთ — კარგად გვახსოვს, როგორ გაგვამწარეს მოლდოველებმა. მოკლედ, ყველაფერს ვილონებთ სარევანშოდ.

## გიორგი ლუდუშაური

— შარშან მეორე ბუნდესლიგაში გადასასვლელად ვიბრძოდით, კარგად ვთამაშობდით და მეოთხე ადგილზე გავედით. წელს „ზალმრორის“ საქმეები ცუდად წავიდა, აუტსაიდერობამდე ჩამოვქვეითდით.

**— რა არის მიზეზი?**

— გუნდი ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, მაგრამ მწვრთნელი მრავალ ნიუანსში ვერ ერკვევა. ბევრ მოთამაშესთან კონფლიქტი აქვს, თვითონაც, ხშირად ცდება. შეიძლება, კარგი მწვრთნელია, მაგრამ გუნდში საჭირო ატმოსფერო ვერ შექმნა. ჩვენთან ახლა არეულობაა და ეს შედეგებსაც ეტყობა.

**— როგორც ვიცი, შენ თავდასხმაში გათამაშებენ...**

— სხვათა შორის, ბოლო ორი წელი იყო, რუსთავიდან მოყოლებული, ნახევარდაცვაში დამწიეს, ბავშვობაშიც თავდამსხმელი ვიყავი და გერმანიაში კვლავ ძველ პოზიციას დავუბრუნდი.

**— უფრო მაღალი რანგის გუნდებისგან მიწვევები ხომ არ მიგიღია?**

— შარშან ბილეფელდის „არმინიაზე“ იყო საუბარი, მაგრამ კონკრეტული მოლაპარაკებები არ გვქონია. ბულგარელებთან შეხვედრის შემდეგ კი თელ-ავივის „მაკაბი“ დაინტერესდა ჩემით. სხვა, რაიმე მნიშვნელოვანი წინადადება არ ყოფილა. თანაც, იცით რაშია საქმე? მე საქართველოს ნაკრების წევრი ვარ, იმ გუნდისა, რომელმაც თავისი პოტენცია ყველას დაანახა და, ბუნებრივია, ძლიერ გუნდში გადასვლაზე ვფიქრობ. ჩვენ ისეთი გუნდები ჩამოვიტოვეთ უკან, რომლებიც წლების მანძილზე გამოდიან შესარჩევ ჯგუფებში და გამოცდილება თუ ნაკრების მომზადების მეტი ცოდნა გააჩნიათ. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ ჩვენი გამოსვლით, თამაშითა და შედეგით. შემდგომ ალბათ გრანდებსაც გავუწევთ კონკურენციას.

## თემურ ქეცბაია

ბულგარელებთან თემურს არ უთამაშია — აეკი — სიონის“ შეხვედრისას ტრავმა მიიღო და სამი კვირა ვერ ვარჯიშობდა.

— ახლა უკვე არა მიშავს, ბოლო ტურებში ვითამაშე კიდეც.

**— პაოკთან სტუმრად 3:1 რომ მოიგეთ, გოლიც გაგიტანია და საგოლე პასიც გაგიკეთებია...**

— სამწუხაროდ, ეს შეხვედრა ნაადრევად შეწყდა. 88-ე წუთზე მაყურებლები მოედანზე გადმოცვივდნენ და თამაშის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. არადა, ჩემმა თანაგუნდელებმა და მათ შორის მეც კარგად ვითამაშეთ. საერთოდ, ჩემპიონატშიც კარგად გამოვდივართ — ცხრა ტურის შემდეგ მეორე ადგილზე ვართ და ერთი ქულით ჩამოვრჩებით „პანათინაიკოსს“, რომელსაც 18 ნოემბერს ვხვდებით შინ. მოგების შემთხვევაში პირველ ადგილზე გადავდივართ.

როგორც ვიცი, ბუნდესლიგის ერთ-ერთი გერმანული გუნდის მენეჯერი იყო ჩამოსული საბერძნეთში, მაგრამ აეკთან კიდევ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი მაკავშირებს, გუნდი ჩემით კმაყოფილია, ასე რომ, ეს საუბარი ჯერ ნაადრევია.

## დავით ჯანაშია

დათო ალექსანდრე ჩივაძეს არაერთხელ მოუწვევია ნაკრების შეკრებაზე, მაგრამ „სამტრედიის“ ლიდერთაგანმა ჯერ ვერ მოიკიდა გუნდში ფეხი. მიზეზზე ქვემოთ თავად გვეტყვის, პირველად კი კლუბის საქმეებზეც ვკითხე.

— ჩვენ მხოლოდ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ, სამტრედიაში სხვანაირად ვერც წარმოუდგენიათ. რა გამოვა, ამას მომავალი გვიჩვენებს. ერთი რამ დანამდვილებით ვიცი — მიზნის მისაღწევად არცერთი ჩვენგანი თავს არ დაზოგავს.

**— ახლა შენს მიერ თელავში გატანილ სენსაციურ გოლზე გვითხარი. მართალია, შემთხვევით შეაგდოო?**

— გოლი რომ გაგვიტანეს, გავბრაზდი. გიორგი დარასელიამ ცენტრში ბურთი დამიგორა, დარტყმამდე მეკარეს გავხედე და რაკი ვნახე, კარში დაბრუნებას არ ჩქარობდა, შეძლებისდაგვარად დამიზნებით დავარტყი. ადვილი წარმოსადგენია, როგორ გამიხარდა, როცა ბურთი კარში ჩასრიალდა.

**— ნაკრების შეკრებებზე ადრეც იყავი, მაგრამ რაღაც უცხოსავით გამოიყურებოდი...**

— მართალია. დანარჩენები უფრო შეთამაშებულნი არიან, ამიტომ ორ დღეში ძნელია მათთან შეთამაშება. თანდათან ალბათ ამ ბარიერსაც გადავლახავ და გავშინაურდები.

**— მომავალ თამაშზე რას გვეტყვი?**

— ყველა გამარჯვებაზე ლაპარაკობს. თავადაც ისეთი გრძნობა მაქვს, ამას უეჭველად შევძლებთ. ნაკრების ნებისმიერი წევრი ყველაფერს გაიღებს რევანშის ასაღებად.

იქვე, კალათბურთელთა ბაზაზე ახალგაზრდული ნაკრებიც ემზადება. არც ამათ ჰქონიათ საქმე კარგად: წითელი ბარათის გამო თამაშს გამოტოვებს ზვიად ჯელაძე, ორი ყვითლის გამო კი ალექსანდრე იაშვილი, ტრავმირებულია გივი დიდავა, მეკარე ჯანელიძეს კუნთი აქვს დაჭიმული, დებიუტანტი აშვეთია კი სიცხიანი ყოფილა. ნაკრებში შოთა ჭეიშვილმა ოთხ ახალბედას უხმო — დავით მუჯირს, კახა კალაძეს, ზაზა ზამთარაძეს — დინამო-2-დან და ქუთაისელ აშვეთიას. როგორც ჩანს, შოთა ჭეიშვილმა ახლავე დაიწყო სამომავლო მზადება და პირველწვეულთაგან სულ ხუთი მოთამაშე დატოვა — ამირან მუჯირი, ალექსანდრე რეხვიაშვილი, გიორგი კიკნაძე და მეკარეები — დათო ჯანელიძე და დათო გვარამაძე. მათ გარდა მოლდოვაში სათამაშოდ ემზადებიან ვალტერ გუჩუა, დავით ჩალაძე, გიორგი დემეტრაძე, გიზო ჯელაძე, ლევან ხომერიკი და ლევან კობიაშვილი.

იმედი ვიქონიოთ, ვინძლო ახალგაზრდულმა ნაკრებმა ამჯერად მაინც შეწყვიტოს წაგებათა სერია და სტუმრად პირველად გაიმარჯვოს. ყოველ შემთხვევაში, იმედიანი განწყობა მოთამაშეებს არ აკლდათ.

დავით ჩალაძე: ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ ყველანაირად უნდა ვეცადოთ მოგება. ფეხბურთი მაინც ომია, ნებისმიერ მეტოქესთან ბრძოლაა საჭირო და, ვფიქრობ, ეს ომი ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდება.

ალექსანდრე რეხვიაშვილი: მართალია, გასვლის შანსი აღარ დაგვრჩა, მაგრამ ნაკრები, ფაქტიურად, განახლდა და ამ ბიჭებით შესაძლებელია წარმატებაზე ფიქრი.

მამუკა კვანტალიანი,
მერაბ მამულაშვილი

გია ახალაძის
ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა


აკაკი დევაძე


გიორგი ქინქლაძე და დავით ჯანაშია


გიორგი ჩიხრაძე და გოჩა ჯამარაული

# GEORGI'S THE BOY FOR CITY

Manchester City 0 Leeds 0
GEORGI BOY. He sure has the name to develop into a

By PETER FITTON

German striker's own record

yes, he is strong enough for the English game all right." ... is true. ... swivel into space and find the

now seen what he can do and they are going to start hitting him. He'll be knocked down a few times. The key is if he

**ასე დაასათაურა გაზეთმა „სანმა" „მანჩსტერ სიტისა" და „ლიდს იუნაიტედის" მატჩის რეცენზია. მართალია, ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტის დავით მჭედლიშვილის მიერ გამოგზავნილმა ამანათმა ცოტა დააგვიანა, მაგრამ ვფიქრობთ, მაინც დაგაინტერესებთ ინგლისელთა აზრი ქართველ ლეგიონერზე.**

ბიჭი გიორგი. მან უეჭველად შეიტანა თავისი წვლილი მანჩესტერული საფეხბურთო ხატის შექმნაში. მაგრამ მოახერხებს გახდეს ერთ-ერთი საუკეთესო?

შეგვრჩება ხელთ ეს კლასიკური ქართველი, თუ მასაც აგვაცლის ვინმე სხვა?

ქინქლაძე ფრენსის ლის საზაფხულო შენაძენია. მოვიდა დრო, რომ გამოიცადოს ყველაფერი, რაც ამ მოთამაშის მხარდასაჭერად და საწინააღმდეგოდ გვსმენია.

როგორც სხვა, ისე ამ ორმა დაკარგულმა ქულამ „სიტი" უფრო ჩაძირა მორევში. მაგრამ მწვრთნელი ალან ბოლი თავს ნაპირზე გარიყულად გრძნობს და თვლის, რომ კრიზისი დაძლეულია.

ბოლი მიიჩნევს, რომ „სიტის" გადასარჩენად საჭიროა თამაშის გაუმჯობესება, ხოლო გამთამაშებელ გიორგი ქინქლაძეს სავსებით შეუძლია დაეხმაროს მას მიზნის მიღწევაში.

უვე როსლერი, მეორე უცხოელი, რომელიც წინა ორ სეზონში ეხმარებოდა „სიტის" ლიგაში დარჩენაში, ასკვნის: „წინა მატჩებში ყველამ ნახეთ კატასტროფა: აწი თქვენ იხილავთ სისტემას, სადაც ყველა ერთად მუშაობს. რა თქმა უნდა, გიორგიც. იგი დღითიდღე სულ უფრო უკეთესია. ეს მისთვის ადვილი არ არის. იგი არ მისულა „მანჩესტერ იუნაიტედში" ან „ნიუკასლში". გიორგი მივიდა გუნდში, რომელიც ორი წელიწადია ებრძვის ლიგიდან გავარდნის საფრთხეს. ახალ მწვრთნელთან ერთად მან ბევრი რამ უნდა შეცვალოს.

„პირველი დღიდანვე იოლი შესამჩნევი იყო, რომ იგი დიდებული მოთამაშეა — ამბობს როსლერი. მაგრამ მსოფლიო კლასი? ჯერ არა. მას აქვს პოტენციალი, ამგვარი რომ გახდეს, მაგრამ ამჟამად სწავლობს.

ახლა გიორგი გუნდისთვის უკეთ თამაშობს, თავად გუნდიც უკეთ თამაშობს მისთვის. ურთიერთგაგება ნელ-ნელა მოდის. მან დღეს 45-ჯერ მიიღო ბურთი და 4-ჯერ დაკარგა. ჰო, მართლა, იგი საკმაოდ ძლიერია ინგლისური თამაშისთვის."

ქინქლაძემ ბევრი შეძლო. იგი სივრცეში იჭრებოდა და დროის მცირე მონაკვეთში ახერხებდა განაღდებულ უპირატესობას მეტოქეებზე და აიძულებდა დანებებულიყვნენ.

„ლიდსის" ირლანდიელი მცველი ნაიჯელ ვორთინგტონი აღნიშნავს: „ქინქლაძე მაღალი კლასის ფეხბურთელია. მაგრამ ხანდახან ეშმაკობს და მოედანზე წყნარად დგას. იგი ადვილად იპყრობს მოედანს, მაგრამ მიღებულ უპირატესობას ველარ იყენებს. საჭიროა, რომ იგი უფრო მიზანმიმართული გახდეს.

მისი ქვეყნიდან ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი ჩამოსულა ჩვენთან და მათს ტექნიკაში ეჭვი არვის შეუტანია. მაგრამ ბევრ მათგანს არ შეუძლია შორი მანძილიდან ძლიერად დარტყმა.

ერთხელ უნდა ვუთხრა ამ ბიჭს: აქაურმა ფეხბურთელებმა გაიგეს, რისი გაკეთება შეუძლია მას და მალე მის დაშავებასაც შეეცდებიან. იგი მრავალჯერ აღმოჩნდება ძირს დაცემული. ამის გასაღები ის იქნება, რომ დარტყმას იმწამსვე დარტყმით უპასუხოს."

„სანი", 23 ოქტომბერი


ჩიხრაძე არც დიმიტრი კუდინოვს ასვენებს

ზემოხსენებულ თამაშში „სიტიმ" მეორე ქულა მოიპოვა, ამის შემდეგ კი როგორც იქნა, მოიგო — „ბოლტონი" 1:0 დაამარცხა. ეს ნანატრი გამარჯვების გოლი სწორედ ჩვენი ლეგიონერის გადაცემით გავიდა და გიო ტურის სიმბოლურ ნაკრებში ძალზე მაღალი — 9-ბალიანი შეფასებითაც შეუყვანიათ.

— წინა ტურში „ბოლტონმა" „არსენალს" 1:0 მოუგო და ჩვენთან ცხვირაწეულები გამოვიდნენ, თან ისიც ადიდგულებდათ, რომ ჩვენ „ლივერპულთან" 0:6 წავაგეთ. გვეგონა, სტადიონზე ხალხი აღარც მოვიდოდა. თუმც, შევცდით — ჩვეულებრივზე მეტი მაყურებელი მოვიდა და სიმღერებიც დასჭექეს. ამან დიდი სტიმული მოგვცა და, ვფიქრობ, „სიტიმ" ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა.

**— ბარსელონასგან „ნასესხებმა" ჰაჯიმ და კრისტენსენმა თუ ითამაშეს?**

— არა, არ უთამაშიათ. ისინი მანჩესტერში კი ჩამოვიდნენ მოსალაპარაკებლად, მაგრამ ფულზე ვერ შეთანხმდნენ და უკანვე გაბრუნდნენ.

**— ზოგი ირწმუნება, რომ „ლივერპულში" და „მანჩესტერ იუნაიტედში" გიწვევენ...**

— არა, არა, ჯერ არაფერია. მე არაფერი გამიგია, მაგ ხმებს ნუ უსმენთ.

**— ბულგარელებთან მოგების შემდეგ გული არ გწყდება, ინგლისის საგზურები სხვებმა რომ მოიპოვეს და არა ჩვენ?**

— რა თქმა უნდა, გული მწყდება, მაგრამ მიღწეულითაც კმაყოფილი ვარ, რადგან პირველად ვმონაწილეობდით ასეთი რანგის შეჯიბრებაში და გამოუცდელებმა გარკვეულ წარმატებას მივაღწიეთ.

**— ბულგარელებთან ფეხზე მტკიცედ იდექი, აშკარა იყო, რომ ფიზიკურად უკეთ გამოიყურებოდი.**

— ინგლისში ისეთი თამაშები და დატვირთვებია, ფიზიკურად მოძლიერდები.

**— ბევრისგან მსმენია, მეშინია, ქინქლაძეს ამ მაჩანჩალა გუნდში მარცხისთვის განწირული მოთამაშის ფსიქოლოგია არ ჩამოუყალიბდესო...**

— გასაგებია, მაგრამ მე ეს პრობლემა არ მაწუხებს. პრემიერ ლიგაში თამაში ერთ რამედ ღირს. მართალია, წაგება არცერთ ფეხბურთელს არ უყვარს და საშინელებაა, თუ მოთამაშე წაგებას შეეჩვევა. მაგრამ, წაგების შემდეგაც გუნდის გარშემო ისეთ ატმოსფეროს ქმნიან, ვერც ვგრძნობ, ასეთი ფსიქოლოგია რომ იყოს გუნდში. თანაც, ახლა ვითარება გამოსწორდა. ასე რომ, გულის გატეხვაზე საუბარი უადგილოა.

**— როგორ შეხვდნენ ინგლისში ჩვენების ბულგარელებთან გამარჯვებას?**

— ყველა გაოცებული იყო, თუმცა სენსაციადაც არ მიუჩნევიათ. წამოსვლის წინ რატომღაც ყველა მეუბნებოდა, რომ ჩვენ ეს თამაში უნდა მოგვეგო.

## დარასელია ცოცხალია

გუშინ ტელეფონით დაგვიკავშირდით [illegible] „სარბიელს" [illegible] ნდენტმა [illegible] ავიაკატასტროფაში დაღუპული ზვიად ქაძანაია 12 ნოემბერს დაუკრძალავთ. ბადრი დარასელია, ზოგის თქმით, კვლავ ქუთაისში წევს, ზოგი კი, მოსკოვშია გადაყვანილიო, ამბობს. გამოჩენილან პიროვნებები, რომლებიც დარასელიას ამერიკაში წაყვანასა და იქ მკურნალობას კისრულობენ. ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოსთან დაკავშირება ვერაფრით შევძელით, რაკიღა იქ სატელეფონო ხაზები დაზიანებულია, ამიტომ რომან გაბისონია საგანგებოდ ჩავა ქუთაისში და დეტალურად დაგვიზუსტებს ყველაფერს. რაც შეეხება კობა ჭაჭუას მდგომარეობას, გაბისონიას თქმით, განგრენის საშიშროება აღარ არის და მას თვალიც შეუნარჩუნდება.

## «ცხუმი» აღდგება

მეორე წელია, რაც „ცხუმი" დაიშალა, ცხუმელები კი სხვადასხვა გუნდებში წავიდ-წამოვიდნენ. ბევრმა უცხოეთსაც მიაშურა. მაგრამ „ცხუმის" აღდგენა ყველას გულში აქვს ამოჭრილი, წასულსაც თუ დარჩენილსაც, ჩინეთის ჩემპიონს, გოჩა ჟორჟოლიანს ფინანსური დახმარება აღუთქვამს თავის წილად, ასევე ფიქრობენ სხვა სოხუმელი ლეგიონერებიც. აქ მყოფები კი უსაქმოდ არ სხედან და მინი-ფეხბურთით იკლავენ ჟინს. ამასწინათ საქართველოსა და აფხაზეთის სპორტკომიტეტებმა ერთობლივი ძალისხმევით მოაწყვეს გიგა ნორაკიძის ხსოვნის ტურნირი, რომელშიც მხოლოდ ლტოლვილები მონაწილეობდნენ. ათგუნდიან ჩემპიონატში ყველას სოხუმის უნივერსიტეტმა აჯობა, მეორე ადგილზე თბილისის ზღვაზე მცხოვრებ ლტოლვილთა გუნდი გავიდა, მესამეზე — სასტუმრო „ივერიის" ლტოლვილთა გუნდი. გამარჯვებულებს პრიზები ბატონ გიგას მეუღლემ, ქალბატონმა ნათელა ბაკურაძემ გადასცა. ტურნირში ბევრი მოქმედი თუ ყოფილი ფეხბურთელი მონაწილეობდა, მათ შორის უბერებელი ალკაზ ქანთარია.

აფხაზეთის სპორტკომიტეტმა გადაწყვიტა, ამათ ბაზაზე დასაწყისისთვის ჩამოაყალიბოს მინი-ფეხბურთის კლუბი „ცხუმი", რომელიც საქართველოს ჩემპიონატში იასპარეზებს. მერე და მერე კი ალბათ კლუბი მოლონიერდება, ქვეყანაც დალაგდება და დიდი ფეხბურთის გუნდისთვისაც მოიცლიან. მანამდე კი „ცხუმი", მართალია, მინი-ფეხბურთს, მაგრამ მაინც ითამაშებს...

საქართველოს ჩემპიონატი. XIV ტური. 9-10 ნოემბერი

### ტორპედო 2:1 მარგვეთი

ტორპედო: ხელაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, კვეტენაძე, ვოსკანოვი, ნიქარიშვილი, გიორგობიანი (ჩხეტიანი 80), ხუნდაძე, ნოზაძე, აშვეთია, მეგრელაძე (შენგელია 74)

მარგვეთი: გვენცაძე, მაღლაკელიძე, გურიელიძე, გაბრიჭიძე, ლონლაძე (ბებიაშვილი 46), გენაძე, კაკუბავა, ჩხეტია, ნიკლაური, კიკნაძე, ენდელაძე

1:0 ხუნდაძე (28), 2:0 ხუნდაძე (36), 2:1 გენაძე (52)

გაფრთხილება: გენაძე, კაკუბავა

მსაჯი: მ. მაღალურაძე (თბილისი)

### კოლხეთი 5:2 კახეთი

კოლხეთი: გვასალია, ქუნთელია, კაკაჩია, შ. ხუჯაძე, ინიაშვილი, ლალანიძე, კიკლიაშვილი (გიგატაძე 61), ამბიძე, გიორგაძე, გაბისონია, ბულუხია

კახეთი: ჩიქვინიძე, შონია, კაციტაძე, სანადირაძე, ნაკუდაიძე (ლვინიაშვილი 46), კახოიძე, ათუაშვილი, ჯაშიაშვილი, სოლოლაშვილი, ბაბულაიძე, ნონიკაშვილი

1:0 ამბიძე (3), 2:0 ლალანიძე (6), 2:1 სოლოლაშვილი (14), 3:1 ამბიძე (27), 4:1 გაბისონია (31), 4:2 ჯაშიაშვილი (51), 5:2 ბულუხია (88)

გაფრთხილება: ბულუხია

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 14 | 10 | 0 | 4 | 41-15 | 30 |
| მეტალურგი | 14 | 10 | 0 | 4 | 33-16 | 30 |
| დინამო | 12 | 9 | 2 | 1 | 42-6 | 29 |
| კოლხეთი | 13 | 9 | 2 | 2 | 34-17 | 29 |
| სამტრედია | 11 | 8 | 3 | 0 | 35-12 | 27 |
| ბათუმი | 13 | 8 | 3 | 2 | 29-15 | 27 |
| ტორპედო | 13 | 7 | 3 | 3 | 30-16 | 24 |
| დილა | 14 | 7 | 2 | 5 | 23-21 | 23 |
| შევარდენი | 13 | 6 | 0 | 7 | 22-26 | 18 |
| კახეთი | 14 | 4 | 3 | 7 | 14-29 | 15 |
| ეგრისი | 14 | 4 | 2 | 8 | 24-33 | 14 |
| ზუგდიდი | 12 | 4 | 0 | 8 | 22-36 | 12 |
| სიონი | 14 | 4 | 0 | 10 | 17-30 | 11 |
| ივერია | 14 | 3 | 1 | 10 | 12-29 | 10 |
| გურია | 13 | 2 | 0 | 11 | 8-33 | 6 |
| დურუჯი | 14 | 0 | 1 | 13 | 3-54 | 1 |

# ჰოლანდიას საქმე გაურთულდა

გასულ უქმეებზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სამი მატჩი გაიმართა და, მართალია, ფავორიტთაგან მხოლოდ იტალია თამაშობდა, მაჩანჩალათა შეხვედრების შედეგებმაც სურათი შედარებით ნათელი გახადა.

### III ჯგუფი

### უნგრეთი 1:0 ისლანდია

55-ე წუთზე ილეშმა ერთადერთი გოლი გაიტანა და ისლანდია მეხუთე, ბოლო ადგილზე დატოვა. ამგვარად, გაირკვა ის გუნდი, ვისთან დაგროვებული ქულებიც მეორე ადგილზე გასულს „კოლეგებთან" ჭიდილში აღარ ჩაეთვლება, თუმცა თავად მეორე ადგილის ბედი ჯერ გაურკვეველია. ოთხშაბათს თურქეთი სტოკჰოლმში ნებისმიერი ანგარიშით მოგების შემთხვევაში პირველ ადგილს დაიკავებს. მაშინ შვეიცარია 11 სამეორეადგილო ქულით „კარგ" მეორე ადგილზე გავა. თუ თურქებმა ვერ მოიგეს და მეორეზე დარჩნენ, მაშინ მათი მონაგარი 10 (წაგების შემთხვევაში) ან 11 ქულა (ფრეს შემთხვევაში) იქნება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 8 | 5 | 2 | 1 | 15-7 | 17 |
| თურქეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 14-6 | 14 |
| შვედეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-8 | 8 |
| უნგრეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-13 | 8 |
| ისლანდია | 8 | 1 | 2 | 5 | 3-12 | 5 |

### IV ჯგუფი

### იტალია 3:1 უკრაინა

ბარიში მასპინძლებმა მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისში ითამაშეს ისე, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებს რომ შეეფერებათ. პირველში კი რატომღაც უკრაინელებს აჰყვნენ და მათსავით გაგიჟებულები დარბოდნენ საკმაოდ უხეირო მოედანზე. „გადარბენისას" სტუმრებმა იმარჯვეს და მე-19 წუთზე პოლუნინის გოლით დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ რავანელიმ ეს გოლი ორ წუთში გაქვითა, მერე კი, 49-ე წუთზე წინ გაიყვანა თავისიანები. ოთხიდან ულამაზესი მეოთხე გოლი გამოდგა: პაოლო მალდინიმ დაამტკიცა, რომ მარტო დაცვა როდი ეხერხება ჩინებულად — ბურთი ორ მცველს თავზე გადაუტარა და მიწაზე დაუშვებლად ბადეში გაახვია.

ოთხშაბათს ხორვატია სლოვენიაში თამაშობს, იტალია კი ლიტვას მასპინძლობს. თუ ორივე გუნდმა ერთნაირი შედეგი აჩვენა, მაშინ პირველ ადგილზე ექს-იუგოსლაველები გავლენ, ვინაიდან პირად შეხვედრებში იტალიელებთან უკეთესი მაჩვენებლები აქვთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 9 | 6 | 2 | 1 | 20-4 | 20 |
| იტალია | 9 | 6 | 2 | 1 | 16-6 | 20 |
| ლიტვა | 9 | 5 | 1 | 3 | 13-8 | 16 |
| უკრაინა | 10 | 4 | 1 | 5 | 11-15 | 13 |
| სლოვენია | 9 | 3 | 2 | 4 | 12-11 | 11 |
| ესტონეთი | 10 | 0 | 0 | 10 | 3-31 | 0 |

### V ჯგუფი

### მალტა 0:2 ბელარუსი

მასპინძლებმა 82 წუთი ითმინეს, მერე გერასიმეცისგან ორი გოლი გაუშვეს და ერთბაშად ორ გუნდს გაუფუჭეს საქმე — ლუქსემბურგმა მეოთხე ადგილი დაკარგა, ჰოლანდია კი, ნორვეგიელებთან მოგების შემთხვევაში, ზედმეტი მეორე ადგილის გამოსავლენ მატჩს ვერ ასცდება, ვინაიდან სამეორეადგილო 8 ქულას აგროვებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 9 | 6 | 2 | 1 | 17-4 | 20 |
| ჩეხეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 18-6 | 18 |
| ჰოლანდია | 9 | 5 | 2 | 2 | 20-5 | 17 |
| ბელარუსი | 10 | 3 | 2 | 5 | 8-13 | 11 |
| ლუქსემბურგი | 9 | 3 | 1 | 5 | 3-18 | 10 |
| მალტა | 10 | 0 | 2 | 8 | 2-22 | 2 |

დაზუსტებული ინფორმაციით, ჯგუფებში ორი ან მეტი გუნდის მიერ თანაბარი ქულების დაგროვებისას უპირატესობა მიენიჭება იმას, ვისაც უკეთესი აქვს:

1. ურთიერთშეხვედრებში დაგროვებული ქულები
2. ურთიერთშეხვედრებში გატანილი გოლები
3. ურთიერთშეხვედრებში სტუმრად გატანილი გოლები
4. ბურთების საერთო სხვაობა
5. გატანილი გოლები
6. სტუმრად გატანილი გოლები

თუ ყველა ეს მაჩვენებელი თანაბარი აღმოჩნდა, მაშინ ძალაში შევა „ფეირ პლეის" მონაცემები ანუ წითელ-ყვითელი ბარათების სიმცირე. თუ გუნდებს ესეც ერთნაირი ექნათ, მაშინ უეფას აღარაფერი დარჩება მონეტის აგდების გარდა.

7 ნოემბერი გერმანის თასის მეოთხედფინალების დღე იყო, ოღონდაც საიმდღეო „პროგრამა" არასრული გახლდათ: სტენდალ-ლევერკუზენის წყვილმა ურთიერთობა მანამდე, 30 ოქტომბერს გაარკვია. ამ მატჩის წინ ორივე მხარე დიდ გულზე იყო: რაღა ჩვენი წაგება და რაღა ერის შერცხვენაო, აცხადებდა ლევერკუზენელთა მენეჯერი რაინერ ფალმუნდე, მეორე ბუნდესლიგის სამი გუნდის გამომცდელ სტენდალელთა მწვრთნელი კლაუს ურბანჩიკი კი ახლა ბუნდესლიგის ბინადრის დამარცხებასაც იქადნებოდა — ნურავინ იფიქროს, სახელით შეგვაშინებს, ნახავთ, რა უშიშრადაც ვითამაშებთო.

მართალიც უთქვამს: სტენდალელებმა ტოლი არ დაუდეს შუსტერის, ფიოლერის, კირსტენისა და პაულო სერჟიოს გუნდს, ერთობ დაძაბულ თამაშის ძირითადი და დამატებითი დრო 0:0 დასრულდა და ლევერკუზენელებმა პენალტების სერიაშიღა ივარგეს 5:4. გადამწყვეტი თერთმეტმეტრიანი პაულო სერჟიომ გაიტანა.

7 ნოემბერს კი, უკვე ვთქვით, დანარჩენი სამი მეოთხედფინალი გაიმართა.

# ფეხბურთელებო, ყველა ქვეყნისა...

აბა, ვინ იფიქრებდა, ქვეყნის ჩემპიონი „ბორუსია" ასეთ სირცხვილს თუ შეიმთხვევდა და თანაც შინ, დორტმუნდში: კარლსრუეელ დანდისა და ნოვოტნისგან მიღებულ ორ ბურთს ზამერის ერთითღა უპასუხა, ცოტა ხანში კი ჰესლერისგან (პენალტით) მესამეც გაუშვა.

მეოთხედფინალების საერთო სურათი აშკარად წაახდინეს „ფორტუნამ" და „ნიურნბერგმა": ამათი უნიათო მატჩი გერმანიის თასის მუდამ საინტერესო შეხვედრებში უცნაურ და აუხსნელ შემთხვევად თუ ჩაითვლება. ამ თამაშში ერთადერთი ბურთი, რომელმაც „ფორტუნა" ნახევარფინალში გაიყვანა, ვეტერანმა ფრანკ მილმა გაიტანა.

სამაგიეროდ, დრამატული გამოდგა მატჩი ჰომბურგში, სადაც ადგილობრივი კლუბი „კაიზერსლაუტერნს" ხვდებოდა. „ჰომბურგი" თავის რეგიონალლიგაში 15 ტურის შემდეგ 24 ქულით მეექვსე ადგილზეა. პირველ ადგილზე მყოფი „გიუთერსლოჰი" 10 ქულით უსწრებს, თუმცა ამას 16 თამაში აქვს ჩატარებული. ბოლო ტურში, 3 ნოემბერს, „ჰომბურგმა" სტუმრად დაამარცხა „ობერჰაუზენი"— 4:1. მეორე ბურთი შესანიშნავი საჯარიმო დარტყმით რეზო არველაძემ გაიტანა.

6 ნოემბერს „კიკერმა" მთელი გვერდი მიუძღვნა „ჰომბურგს" დაყურადღება განსაკუთრებით ამ გუნდში ლეგიონერთა სიჭარბეზე გაამახვილა. გერმანიაში კი არა, იქნებ მთელს მსოფლიოშიც არ მოიძებნება იმისთანა კლუბი, რომელშიც 12 ქვეყნის 17 7წარმომადგენელი გამოდიოდეს: ქართველები — ჩხეიძე, არველაძე, ნემსაძე, განელი სარპაი, ხორვატი სტანიჩი, სერბები — დიმიტრიევიჩი და ძმები ზლატკო და ზელკო რადიჩები, პოლონელი (თუმცა გერმანიის მოქალაქე) ფული, ამერიკელი კოლინზი, ბრაზილიელები — და სილვა და სანდრო ბეკერი, ტოგოელი გუმაი, უკრაინელი მუშინკა, იუგოსლავი ბელილე, რუმინელი რუსი და არგენტინელი ალბერიხი... ჟურნალმა სათითაოდ დაახასიათა ესენი, ჩვენების შესახებ კი ეს დაწერა: „გიორგი ნემსაძე — საქართველოს ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი „ჰომბურგის" ნახევარდაცვის შეფია. ბურთთან ისეა, ყველაფერი შეუძლია, ეგაა, ხანდახან ნერვებს ვერ იოკებს. რეზო არველაძე — ტექნიკური, გოლის ალღოიანი, „კიოლნში" „დარბაზის ფეხბურთის მეფედ" შერაცხეს. ნიკა ჩხეიძე — ნემსაძის მსგავსად, თბილისის „დინამოდან" მხოლოდ ნათხოვნია. ეს მეკარე მინდორზე სიმშვიდესა და სიწყნარეს ასხივებს, პეტერ აიხის ტრავმის შემდეგ ჩხეიძე სულ ძირითად შემადგენლობაშია და „ჰომბურგის" დაცვის ბურჯია."

გერმანიის თასზე „კაიზერსლაუტერნი" და „ჰომბურგი" ბოლოს 1991 წელს შეხვდნენ. მაშინ პენალტების სერიით „კაიზერსლაუტერნმა" გაიმარჯვა.

თამაშის დღეს მთელი დღე წვიმდა და ძალიან ციოდა, მატჩისას კი გადაიღო. გუნდები ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ მოედანზე:

„ჰომბურგი": ჩხეიძე, აიხმანი, რუოფი, სარპაი, კოსტნერი, დიმიტრიევიჩი, ნემსაძე, არველაძე, გუმი, რუსი, და სილვა.

„კაიზერსლაუტერნი": რაინკე, გრაინერი, ჰოლერბახი, როოსი, კადლეცი, ბრემე, ლუცი, ვაგნერი, კუკა, ბოდიცი, კოხი.

გადაჭედილი სტადიონი მატჩის დაწყებას პიტარდების ბათქა-ბუთქით შეეგება. „ჰომბურგს" წინ და სილვა და გუმაი გაუმწესებია, ნემსაძე ჩვეულ პოზიციაზე, საყრდენ ნახევარმცველად თამაშობდა, რეზო არველაძისთვის კი გამთამაშებლობა დაეკისრებინათ.

პირველი სახიფათო მომენტი მე-5 წუთზე შეიქმნა „კაიზერის" კართან. ნემსაძემ არველაძეს მიაწოდა, ამან კი ორთა შუა პასით და სილვა გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე. ბრაზილიელის დარტყმული რაინკემ ძლივს მოიგერია. მეთხუთმეტე წუთზე ანგარიში გაიხსნა: ვაგნერმა მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა, კოხმა საჰაერო ორთაბრძოლა მოიგო, ბურთი მიუვიდა კუკას, რომელმაც 3 მეტრიდან ასევე თაურით აუღებელი ბურთი გადაგზავნა ნიკა ჩხეიძის კარში. მეორე ბურთი ჰომბურგელთა კარში ისევ ჩეხმა კუკამ გაიტანა: მე-19 წუთზე მისმა თანამემამულე კადლეცმა მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა, კუკამ მცველებს დაასწრო და ძლიერი დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა. „ჰომბურგის" მწვრთნელმა მარჯვენა ფრთაზე მოთამაშე ტლანქი და მოუხეშავი დიმიტრიევიჩი საოცრად სწრაფი კოლინზით შეცვალა და ამის გამოჩენა სასიკეთოდ დაეტყო „ჰომბურგს". 36-ე წუთზე გუმაიმ საჯარიმოში მიიღო ბურთი, მცველთან ორთაბრძოლაში შეინარჩუნა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და ტექნიკური დარტყმით გოლი გაიტანა. ტაიმის მიწურულს ბრწყინვალედ ითამაშა რეზომ: ჯერ ვაგნერს გადაუტარა თავზე ბურთი, მერე უმალვე მშვენიერი პასით მეკარესთან მარტო დატოვა გუმაი, მაგრამ ტოგოელს ბურთი ფეხებში გაებლანდა, ვერც დაარტყა, ვერც პასი გააკეთა და კარის აღების რეალური შანსი დაკარგა.

მეორე ნახევარი „ჰომბურგის" შეტევებით დაიწყო. რეზომ და ნემსაძემ კედელი გაითამაშეს, გიორგი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბურთი გაექცა და პირით ხაზს იქით გადავიდა: 54-ე წუთზე კი არველაძემ ბრწყინვალე გოლი გაიტანა: და სილვამ ბრაზილიური, ულამაზესი პასით მეკარესთან ერთი-ერთზე გაიყვანა რეზო, რაინკე კარიდან კი გამოვარდა, მაგრამ ქართველმა აუღელვებლად გადაუგდო ბურთი თავზე. ანდრეას ბრემე ბურთს მოსაგერიებლად გაედევნა, მაგრამ მასთან ერთად გაეხვა კარის ბადეში — 2:2. ამის მერე კოლინზი მარჯვენა ფრთაზე ერთვება შეტევებში და „კაიზერის" კარს საფრთხეს უქმნის, მისი, კოსტნერისა და არველაძის სახიფათო დარტყმები მცველებმა და მეკარემ უვნებელყვეს.

65-ე წუთიდან „კაიზერსლაუტერნი" გონს მოეგო და მწვავედაც შეუტია. 69-ე წუთზე შეცვლაზე შემოსულმა ფლოკმა 23 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით კვლავ დააწინაურა „კაიზერი".

მეკარე რაინკეს უხეშ შეცდომას — მცველის მიერ მიგორებული ბურთი ხელში აიღო — ჰომბურგელთა გოლი მოჰყვა: თავისუფალი, როგორც ყველა საჯარიმო ამ მატჩში, რეზო არველაძემ შეასრულა. სტუმართა საჯარიმოში დაახლოებით 15 ფეხბურთელი ირეოდა, რეზომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო — საჯარიმოს გვერდითი ხაზიდან ძლიერად დაარტყა. ბურთი კოლინზს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და კარში შევარდა. ტაიმის მიწურულს ნიკა ჩხეიძემ აშკარა გოლისგან იხსნა თავისიანები — კუკას თაური ფანტასტიური ნახტომით მოიგერია კუთხურზე.

დამატებით დროში „კაიზერს" მცველი ჰოლერბახი გაუძევს. 105-ე წუთზე რეზო კვლავ ერთი-ერთზე გავიდა სტანიჩის კარგი პასით, მეკარეც მოატყუა, მაგრამ მახვილი კუთხიდან ველარ შეძლო გოლის გატანა.

ჰომბურგელთათვის საბედისწერო 117-ე წუთი აღმოჩნდა. „კაიზერსლაუტერნმა" მასპინძლების საჯარიმოში კარგი კომბინაცია გაითამაშა, ჩხეიძე ფეხებში ჩაუვარდა შეცვლაზე გამოსულ რიტერს, მაგრამ თავისიანებს ვეღარაფრით უშველა.

თამაშის შემდეგ „კაიზერსლაუტერნის" მწვრთნელმა ფრედ რაუშმა განაცხადა: „ჩვენ ეს მატჩი წავაგეთ, სასიხარულო არაფერი გვაქვს." ანდრეას ბრემემ კი დაამატა: „ჰომბურგმა", ჩვენდა გასაკვირად საოცრად მაღალ ტემპში ითამაშა. პირველმა ორმა გოლმა დაგვამშვიდა, მერე კი დაბნეულები ვთამაშობდითო."

„რეზო, ნიკა და გიორგი ჩემი მეგობრები არიან და მათ დიდ პატივს ვცემ" — მითხრა „ჰომბურგის" ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ადრიანო და სილვამ — „თანაბარი და ძალიან დაძაბული თამაში იყო. უბრალოდ, „კაიზერსლაუტერნს" უფრო გაუმართლა."

**ZDF**-ის სათასო მიმოხილვაში კომენტატორმა რეზო არველაძის თამაშს უბრალო და გასაოგნებელი უწოდა.

გოჩა საითიძე,
ჰომბურგიდან

## ესპანეთი

XII ტური. კომპოსტელა — ბილბაო 2:1, სალამანკა — ვალენსია 4:0, ტენერიფე — ბარსელონა 1:1, ალბასეტე — ბეტისი 0:0, სოსიედადი — ოვიედო 1:1, რასინგი — რეალი 2:0, ატლეტიკო — ვალეკანო 0:0, სპორტინგი — სარაგოსა 4:1, სევილია — მერიდა 3:0, ესპანიოლი — ვალიადოლიდი 2:0, სელტა — დეპორტივო 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 12 | 9 | 3 | 0 | 21-3 | 30 |
| ბარსელონა | 12 | 8 | 3 | 1 | 29-9 | 27 |
| ესპანიოლი | 12 | 8 | 3 | 1 | 21-6 | 27 |
| კომპოსტელა | 12 | 7 | 1 | 4 | 18-16 | 22 |
| ვალენსია | 12 | 6 | 2 | 4 | 19-1 | 20 |
| ხიხონი | 12 | 6 | 1 | 5 | 20-14 | 19 |
| რეალი | 12 | 5 | 3 | 4 | 22-17 | 18 |
| ბეტისი | 12 | 4 | 6 | 2 | 18-14 | 18 |
| ატლეტიკი | 12 | 4 | 4 | 4 | 15-14 | 16 |
| ლა კორუნია | 12 | 4 | 3 | 5 | 15-12 | 15 |
| ტენერიფე | 12 | 3 | 6 | 3 | 16-21 | 15 |
| სანტანდერი | 12 | 4 | 3 | 5 | 13-21 | 15 |
| სოსიედადი | 12 | 4 | 2 | 6 | 17-18 | 14 |
| სარაგოსა | 12 | 4 | 2 | 6 | 7-15 | 14 |
| ოვიედო | 12 | 3 | 4 | 5 | 14-19 | 13 |
| სალამანკა | 12 | 3 | 3 | 6 | 14-17 | 12 |
| ალბასეტე | 12 | 3 | 3 | 6 | 13-19 | 12 |
| სევილია | 12 | 2 | 5 | 5 | 13-20 | 11 |
| ვალიადოლიდი | 12 | 2 | 4 | 6 | 13-17 | 10 |
| სელტა | 12 | 2 | 4 | 6 | 11-19 | 10 |
| რაიო ვალეკ. | 12 | 2 | 2 | 8 | 12-24 | 8 |

## გერმანია

XIII ტური. ჰანზა — ბაიერნი 0:0, ჰამბურგი — დორტმუნდი 2:2, შალკე — ზ. პაული 2:0, ურდინგენი — კაიზერი 1:1, ვერდერი — აინტრახტი 1:1, კარლსრუე — ლევერკუზენი 1:4, კიოლნი — შტუტგარტი 2:2, მიუნხენი — ფრაიბურგი 3:0, ფორტუნა — გლადბახი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 13 | 8 | 4 | 1 | 34-20 | 28 |
| ბაიერნი | 13 | 9 | 1 | 3 | 28-18 | 25 |
| გლადბახი | 13 | 8 | 1 | 4 | 25-20 | 25 |
| ლევერკუზენი | 13 | 4 | 7 | 2 | 19-12 | 19 |
| ჰანზა | 13 | 4 | 7 | 2 | 22-20 | 19 |
| შტუტგარტი | 13 | 4 | 6 | 3 | 25-27 | 18 |
| შალკე | 13 | 4 | 6 | 3 | 13-16 | 18 |
| ჰამბურგი | 13 | 3 | 8 | 2 | 21-17 | 17 |
| ვერდერი | 13 | 3 | 8 | 2 | 16-16 | 17 |
| აინტრახტი | 13 | 3 | 5 | 5 | 24-20 | 14 |
| ურდინგენი | 13 | 2 | 8 | 3 | 11-11 | 14 |
| მიუნხენი | 13 | 3 | 5 | 5 | 17-22 | 14 |
| კარლსრუე | 13 | 3 | 5 | 5 | 16-22 | 14 |
| კაიზერი | 13 | 2 | 7 | 4 | 16-19 | 13 |
| ზანქტ პაული | 13 | 3 | 4 | 6 | 18-24 | 13 |
| ფორტუნა | 13 | 2 | 7 | 4 | 14-20 | 13 |
| კიოლნი | 13 | 1 | 7 | 5 | 14-21 | 10 |
| ფრაიბურგი | 13 | 1 | 4 | 8 | 7-20 | 7 |

## შვეიცარია

XVIII ტური. სენტ გალენი — ლუცერნი 1:1, არაუ — ლუგანო 5:0, ბაზელი — სერვეტი 2:2, ლოზანა — სიონი 1:1, ქსამაქსი — ციურიხი 0:2, გრასჰოპერი — იანგ ბოიზი 3:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 17 | 12 | 2 | 3 | 32-14 | 38 |
| სიონი | 18 | 10 | 3 | 5 | 28-13 | 33 |
| ქსამაქსი | 18 | 10 | 3 | 5 | 31-23 | 33 |
| ლუცერნი | 18 | 9 | 6 | 3 | 29-10 | 32 |
| სენტ გალენი | 18 | 6 | 7 | 5 | 25-19 | 25 |
| არაუ | 18 | 6 | 4 | 8 | 30-23 | 22 |
| ლოზანა | 18 | 5 | 7 | 6 | 21-20 | 22 |
| ბაზელი | 18 | 6 | 2 | 10 | 18-26 | 20 |
| სერვეტი | 18 | 4 | 6 | 8 | 23-17 | 18 |
| ციურიხი | 18 | 4 | 5 | 9 | 16-27 | 17 |
| ლუგანო | 17 | 4 | 4 | 9 | 15-32 | 16 |
| იანგ ბოიზი | 18 | 3 | 5 | 10 | 10-29 | 14 |

## შოტლანდია

XIII ტური. ფალკირკი — ჰიბერნიანი 2:0, ჰართსი — კილმარნოკი 2:1, პარტიკი — სელტიკი 1:2, რეის როვერსი — მოზერველი 0:0, რეინჯერსი — აბერდინი 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 13 | 10 | 2 | 1 | 27-6 | 32 |
| სელტიკი | 13 | 8 | 4 | 1 | 20-9 | 28 |
| ჰიბერნიანი | 12 | 6 | 4 | 2 | 20-15 | 22 |
| აბერდინი | 13 | 5 | 2 | 6 | 19-17 | 17 |
| მლზერველი | 13 | 3 | 6 | 4 | 12-14 | 15 |
| ჰართსი | 13 | 4 | 3 | 6 | 19-24 | 15 |
| რეის როვერსი | 13 | 4 | 3 | 6 | 15-21 | 15 |
| ფალკირკი | 13 | 4 | 2 | 7 | 13-17 | 14 |
| კილმარნოკი | 13 | 3 | 2 | 8 | 13-20 | 11 |
| პარტიკ თისლი | 12 | 1 | 4 | 7 | 9-22 | 7 |

## ავსტრია

ფორვარტსი — ლინცერი 0:2-ზე, 74-ე წუთზე ჩაიშალა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 16 | 11 | 3 | 2 | 33-18 | 36 |
| შტურმი | 16 | 7 | 4 | 4 | 30-17 | 28 |
| გრაცერი | 16 | 6 | 6 | 4 | 24-19 | 24 |
| აუსტრია | 15 | 6 | 4 | 5 | 18-14 | 21 |
| რიედი | 16 | 5 | 6 | 5 | 21-23 | 21 |
| ტიროლი | 16 | 5 | 5 | 6 | 24-22 | 20 |
| ლინცერი | 15 | 5 | 4 | 6 | 13-14 | 19 |
| კაზინო | 15 | 4 | 7 | 4 | 17-19 | 19 |
| ადმირა ვაკერი | 16 | 3 | 8 | 5 | 19-22 | 17 |
| ფორვარტსი | 15 | 0 | 3 | 12 | 11-38 | 3 |

## საფრანგეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 17 | 11 | 4 | 2 | 35-16 | 37 |
| მეცი | 17 | 9 | 5 | 3 | 17-12 | 32 |
| ლანსი | 17 | 8 | 7 | 2 | 21-12 | 31 |
| ოსერი | 17 | 9 | 1 | 7 | 30-20 | 28 |
| ნანტი | 17 | 7 | 7 | 3 | 19-10 | 28 |
| გენგამი | 17 | 7 | 7 | 3 | 14-11 | 28 |
| მონაკო | 17 | 7 | 5 | 5 | 25-22 | 26 |
| მონპელიე | 17 | 7 | 4 | 6 | 23-12 | 25 |
| სტრასბური | 17 | 6 | 7 | 4 | 25-16 | 25 |
| რენი | 17 | 7 | 4 | 6 | 20-19 | 25 |
| ბასტია | 17 | 7 | 3 | 7 | 23-25 | 24 |
| ნიცა | 17 | 6 | 4 | 7 | 18-19 | 22 |
| ლე ავრი | 17 | 6 | 4 | 7 | 13-23 | 22 |
| ბორდო | 17 | 5 | 4 | 8 | 17-21 | 19 |
| სენტ ეტიენი | 17 | 4 | 6 | 7 | 22-26 | 18 |
| ლიონი | 17 | 3 | 8 | 6 | 14-18 | 17 |
| ლილი | 17 | 3 | 5 | 9 | 13-22 | 14 |
| გენიონი | 17 | 2 | 8 | 7 | 11-21 | 14 |
| მარტიგი | 17 | 4 | 2 | 11 | 13-24 | 14 |
| კანი | 17 | 3 | 2 | 12 | 17-33 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია

სერია B

ანკონა — ბრეშია 2:1 (არტისტიკო 45პ, 48; ვოლიპი 5)
ჩეზენა — აველინო 4:0 (ჰუბნერი 10, 80, ტრამეცანი 27, პიანჯერილი 95)
ფ. ანდრია — კოზენცა 1:1 (ბეგეტო 54; მონცა 68)
ჯენოა — პალერმო 1:0 (ნაპი 9)
ლუკეზე — სალერნიტანა 1:1 (პაჩი 46; ტუდისკო 72)
პისტოიზე — პესკარა 0:1 (დი ჯანატალიე 36)
რეჯინა — ვენეცია 0:2 (ჩერბონე 8, პელეგრინი 90)
ვერონა — ფოჯა 1:0 (ბარონე 74)
პერუჯა — კიევო 0:0
რეჯანა — ბოლონია 1:0 (სტრადა 22)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 12 | 7 | 3 | 2 | 24-12 | 24 |
| ბრეშია | 12 | 5 | 4 | 3 | 18-10 | 19 |
| ანკონა | 12 | 6 | 1 | 5 | 19-15 | 19 |
| ვერონა | 12 | 5 | 4 | 3 | 14-10 | 19 |
| პალერმო | 12 | 4 | 7 | 1 | 10-7 | 19 |
| ჩეზენა | 12 | 5 | 3 | 4 | 21-14 | 18 |
| სალერნიტა | 12 | 5 | 3 | 4 | 11-7 | 18 |
| ბოლონია | 12 | 4 | 6 | 2 | 10-7 | 18 |
| პესკარა | 12 | 5 | 3 | 4 | 15-18 | 18 |
| რეჯანა | 12 | 4 | 5 | 3 | 14-13 | 17 |
| ფ. ანდრია | 12 | 3 | 5 | 4 | 13-14 | 14 |
| აველინო | 12 | 4 | 2 | 6 | 10-17 | 14 |
| პისტოიზე | 12 | 3 | 4 | 5 | 12-12 | 13 |
| კოზენცა | 12 | 2 | 7 | 3 | 12-14 | 13 |
| რეჯინა | 12 | 2 | 7 | 3 | 8-15 | 13 |
| პერუჯა | 12 | 2 | 6 | 4 | 11-13 | 12 |
| ლუკეზე | 12 | 2 | 6 | 4 | 10-16 | 12 |
| კიევო | 12 | 1 | 8 | 3 | 10-12 | 11 |
| ვენეცია | 12 | 2 | 5 | 5 | 7-14 | 11 |
| ფოჯა | 12 | 2 | 5 | 5 | 6-15 | 11 |

## ბელგია

გამოტოვებული მატჩი. ანტვერპენი — ეკერენი 0:2

## პოლონეთი

XVI ტური. 9 ნოემბერი. შლონსკი — კრაკოვი 0:0, გადადებული მატჩი. ვიძევი — სტომილი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 16 | 13 | 2 | 1 | 43-14 | 41 |
| ვიძევი | 16 | 12 | 4 | 0 | 42-13 | 40 |
| პუტნიკი | 16 | 8 | 1 | 7 | 27-27 | 25 |
| ამიცა | 16 | 7 | 3 | 6 | 18-16 | 24 |
| სტომილი | 16 | 6 | 5 | 5 | 15-15 | 23 |
| პოგონი | 16 | 7 | 2 | 7 | 17-19 | 23 |
| ლეხი | 15 | 6 | 4 | 5 | 26-18 | 22 |
| სტალი | 16 | 7 | 1 | 8 | 24-20 | 21 |
| გურნიკი | 16 | 5 | 5 | 6 | 21-15 | 20 |
| ზაგლებიე | 16 | 5 | 5 | 6 | 18-16 | 20 |
| ოლიმპია | 14 | 6 | 2 | 6 | 19-20 | 20 |
| რაკოვი | 16 | 6 | 3 | 7 | 16-18 | 20 |
| ლკს | 16 | 5 | 3 | 8 | 20-23 | 18 |
| გკს | 16 | 4 | 6 | 6 | 14-18 | 18 |
| შლიონსკი | 16 | 4 | 4 | 8 | 18-26 | 16 |
| სოკოლი | 16 | 4 | 4 | 8 | 18-26 | 16 |
| სიარკა | 16 | 2 | 6 | 8 | 13-28 | 12 |
| ბელხატოვი | 16 | 2 | 2 | 12 | 13-29 | 8 |


ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს

გიწვევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით" შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.

ჩვენი მისამართია:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-საავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი:
36-00-94, 36-65-00, 93-36-71

# დააპურე და მოსთხოვე!



„ამ წაგებაში მეც მიმიძღვის ბრალი და ჩემს წილ პასუხისმგებლობას არსად გავექცევი. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ნაცვლიშვილს სწორად ვერ შევურჩიე სათამაშო ადგილი. სტეფანია არ გამოვცვალე, როცა შემეძლო დამესვენებინა. გუნდმა პირველ ტაიმში ყველა დავალება შეასრულა, მეორეში კი ვეღარ ვიცანი, ვერც მოთამაშეთა გამოცოცხლება მოვახერხე. ამას გარდა, წავაგეთ გამოუცდელობით, არაორგანიზებულობით და უპატრონობით. დროა, იმ ხალხმა, ვისაც ნაკრებზე ზრუნვა მართებს, ხელი მოგვკიდოს და ბიჭებს მიხედოს. ჩვენი გაჭირვება გაიგოს და კალათბურთზე, როგორც ცირკში გლადიატორების საყურებლად, ისე არ იაროს" — გვითხრა მატჩის შემდეგ ბესიკ ლიპარტელიანმა.

სასიამოვნოა, როცა მთავარი მწვრთნელი შეცდომებს აღიარებს და წაგებას პირველ რიგში თავად იბრალებს, ნაცვლად მიზეზების გარე-გარე ძიებისა და ლობე-ყორეს მოდებისა. მაგრამ მისი მონოლოგის მეორე ნაწილიც ისეთივე ჭეშმარიტება რომ გახლავთ, როგორც პირველი, არც ამას გაუვა წყალი. ხოლო თუ ამ სიტყვებს გავაანალიზებთ, დავრწმუნდებით — ისრაელთან წაგება ლოგიკური იყო, მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ 11 ქულასაც კი ვიგებდით.

საქართველო — გერმანიის ფეხბურთელთა მატჩივით, ეს შეხვედრაც, რატომღაც „საუკუნის მატჩად" მოინათლა. ისე, ერთ მშვენიერ დღეს იუგოსლავია, ხორვატია ან სულაც ამერიკა რომ გვეწვიოს, იმ მატჩს რაღას დავარქმევთ? თუმცა ეს იქით იყოს. ამ შეხვედრასთან დაკავშირებულმა აჟიოტაჟმა და იქნებ საკალათბურთო ფსიქოზმაც კალათბურთს მიღმა მდგომი საკითხები გადმოსწია პირველ პლანზე და მთელი ყურადღება ამათ მიეხარჯა, საქართველოს ნაკრები კი, ვისაც მატჩი უნდა ეთამაშა, ამჯერად გვერდზე (იქნებ სანაგვეზეც) აღმოჩნდა მიგდებული. ნაკრებს არ ჰქონდა შეკრება, მოთამაშეებს, დღიური გასამრჯელო რა მოსატანია, საჭმლის ფულსაც ვერავინ აძლევდა, მოგებას კი ითხოვდნენ. გეგონება, საქართველოს კი არა, ნორმალური ქვეყნის ნაკრები ყოფილიყო. რომელიც [illegible] არ გავა, ძლიერ მეტოქეს არ ეთამაშოს.

ვინ დაუპირისპირდა ჩვენებს? ევროპის მასშტაბით კარგი (და არა ბრწყინვალე) გუნდი, რომლის მოთამაშეთა დიდი ნაწილი ხვალ მადრიდში „რეალს" ეთამაშება, ზეგ „ბარსელონას", მაზეგ — „პანათინაიკოსს" და ასე გრძელდება წლიდან წლამდე. ქართველები კი, ერთი თვის წინ ბოსნიას რომ ეთამაშნენ, მას შემდეგ ნორმალური გუნდი თვალით კი არა, ტელევიზორშიც აღარ უნახავთ. ვინ წვრთნიდა სტუმრებს? შერფი. გუშინ „არისის", დღეს „ლიმოჟის" მწვრთნელი, რომელიც ხან პატ რაილის სემინარებს ესწრება, ხან ჟელკო ობრადოვიჩს უმართავს დისკუსიას, ანაც ბოჟიდარ მალკოვიჩს უთვლის, ჩამოვალ და დაცვის ვარიანტები ერთად დავამუშავოთო. ვის უნდა შებმოდა იგი? ბესიკ ლიპარტელიანს, რომელიც საქართველოს ჩემპიონატს არ გასცილებია და იმას ფიქრობს — სად იშოვოს გასახდელში დასადგმელად „ელექტროფეჩები", რათა მოთამაშეები არ გაეყინოს.

და მაინც, ქართველის მაქსიმალისტობიდან და ბოსნიასთან მოგებიდან გამომდინარე, ისრაელთან წარმატების იმედი იყო. ოღონდ იმედი და არა რწმენა.

თამაში ჩვენთვის ცუდად დაიწყო. სამწამიან ზონაში ვერაფრით შევაღწიეთ, შორიდან მსროლელიც არავინ აღმოგვაჩნდა და ინიციატივა სტეფანიამ აიღო, როცა ერთხელ ფარსგარედან, მეორეჯერ კი სამქულიანი მანძილიდან შედეგიანად შეუტია. დორონ ჯამჩის ჩხეიძე იჭერდა და რიგიანადაც — ისრაელური კალათბურთის ყველა დროის ლიდერმა საწყის ექვს წუთში შორიდან ერთადერთხელ ივარგა. სამაგიეროდ, ებრაელებს ჰყავდათ ოდედ კატაში, რომელიც ცალკე საუბრის თემაა. ეს კატაში მოედნის გარეთ დიდი დაფეხვილი ვინმე ჩანს, კალათბურთელის გარდა ყველას ჰგავს და ჩვენმა პოლიციამ ქუჩაში რომ შენიშნოს, უმალ დააკავებს, როგორც ნარკომანობაში ეჭვმიტანილს. სამაგიეროდ, მოედანზე ქართველების სისხლის გაშრობა კარგად ეხერხება: ტალინში, ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრა პირადად მოიგო, ახლა კი ისე არივ-დარია ჩვენი დაცვა, რომ თანაგუნდელებს თამაშის და ბურთით ნავარდის საშუალება მიეცა. თუ თავისიანი არ გაეხსნებოდა, თავად შედიოდა და ჩვენებიც ვერაფერს უხერხებდნენ. ისრაელის კოზირი ხომ სწრაფი პირველი შეტევაა და კატაშსაც ეს უნდოდა — როგორც კი მომენტს დაიგულებდა, ზუსტი პასით პარტნიორს თავისი მოედნიდან ქართველების ფართან პოულობდა. ასე დაწინაურდნენ სტუმრები 16:9. ლიპარტელიანი კი კაცს კაცზე ცვლიდა და ჯამჩის მეურვედ სანაძე გამოუშვა. გიას უნკლო მცველის რეპუტაცია არა აქვს, მაგრამ მრისხანე კონკურენტს ორი ბურთი ააცალა და ერთხანს უსაქმოდ დატოვა. ქარაბაკმა და ვაშაკიძემ სამქულიანები ჩააგდეს, ნაცვლიშვილმა ტაიმის ბოლომდე 8.54 წუთით ადრე მარჯვნიდან შეუტია და ჩვენები დაწინაურდნენ — 19:18.

ამ დროს ჩვენი გუნდი დაწყნარდა და თამაშიც წავიდა. ოპტიმალური ხუთეულიც ნაპოვნი აღმოჩნდა: ვაშაკიძე, სანაძე, ნაცვლიშვილი, სტეფანია, დერიუგინი. სანაძემ პირველივე ცდიდან სამქულიანი ჩააგდო. დერიუგინმა ეს ნახა თუ არა, წამსვე ზემოთ ამოვიდა და სანაძისთვის ბლოკების დაყენება დაიწყო. გიამაც გაუტია და რაღაც სამ წუთში კიდევ ოთხიდან სამი სამქულიანი ჩააგდო. ფარზე ხომ უმოწყალოდ ვჩაგრავდით მეტოქეს. მიუხედავად ამისა, რიგიანი დაწინაურება მაინც ვერ მოვახერხეთ. მიზეზი ცხადია — კატაში: სანამ ჯამჩი ისვენებდა, ბომბარდირობა თავად იკისრა, ხოლო როცა დორონი დაბრუნდა, მისი პასებით მომარაგებაც დაიწყო. ჩვენები კი რატომღაც ერიდებოდნენ ებრაელთა კაპიტანს — სროლის საშუალებას აძლევდნენ, ხოლო თუ გარღვევას დააპირებდა, მხოლოდ გამცილებლის სტატუსით კმაყოფილდებოდნენ. ტაიმის მიწურულს ქართველთა ზონურ დაცვაში ბზარი გაჩნდა — რამდენჯერმე თითო ისრაელელი სასროლ პოზიციაში მარტო დარჩა და ბედად, უმრავლეს შემთხვევაში ბურთები რგოლს ხვდებოდა.

მეორე ნახევარი თითქმის იგივე ხუთეულმა დაიწყო — მხოლოდ შენგელია შეცვალა დერიუგინმა. სწორედ ეს შემადგენლობა იყო, მატჩის დებიუტში უპირატესობა რომ დათმო. სასიკეთო არც ახლა ჩანდა რამე, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ჩხეიძემ სამ წუთში ჯამჩის სამი საჯარიმო მიაღებინა. ნელ-ნელა ჩვენები გამოფხიზლდნენ, ფარქვეშ მოურიდებლად დაიწყეს შესვლა, ამას იგივე ჩხეიძემ მოედნის დრიბლინგით გამოჭრა და ჩატენვა დაურთო. გაოგნებულმა შერფმა წუთშესვენება აიღო. თავიდან ვერც ამან უშველა. ქართველებმა ისე მოუჭირეს დაცვას, რომ ჯამჩიმ სასროლი მომენტი ვერ იპოვა, ხოლო კატაში ლამის იყო მოედნის კიდეზე ან ფარქვეშ იწყებდა კომბინაციას. სამწუხაროდ, ტურაშვილმა მეხუთე პერსონალური მიიღო და ცხადი გახდა, რომ ვაშაკიძეს დარჩენილი 15 წუთი მარტოს მოუწევდა გამთამაშებლობა. ამ დროს ჩვენები 10 ქულას იგებდნენ. როგორც კი ეს გაიაზრეს, შედრკნენ (მაინც რა არის გამოუცდელობა!) და ყველას შეეძლო ენახა, როგორ გადადიოდა წვალებით მოპოვებული უპირატესობა ებრაელთა ხელში. კაცმა და დანიელმა ზედიზედ ჩააგდეს სამქულიანები — 55:51. სტეფანიამ, ვისაც აშკარად მოერია დაღლილობა, ორი საჯარიმო გააფუჭა, მაგრამ არც კატაშს ჩააგდებინა. ქარაბაკის აცდენილი ბურთი პანფელდმა აიღო და როცა ჩვენს ფარზე სასროლად აიწია, ვაშაკიძე გონივრულად ჩადგა წინ და იქით აკიდა პერსონალური. ფსიქოლოგიური გარდატეხა თითქოს მოხდა, მაგრამ რამდენჯერმე ისევ ავჩქარდით. კაცი კაცურად გაისარჯა, დანიელმაც დამთავრებამდე 10.45 წუთით ადრე სამქულიანით წინ გაიყვანა თავისიანები 56:55.

სად იყო სანაძეო, იკითხავთ? სად და მოედანზე, მაგრამ სამქულიანი ველარაფრით ჩააგდო. რომ შეატყვეს, შორიდან კარგად ესვრისო, ებრაელებმა მასზე საგანგებო მეთვალყურეობა დააწესეს და არ ასროლინეს. პანფელდი და დანიელი მჭიდრო „სენდვიჩში" მოაქცევდნენ ხოლმე გიას და ესეც მომენტს ვერ იხელთებდა. ვერც თანაგუნდელებმა შეუწყეს ხელი — ბურთი ისე ვერ გაუთამაშეს, სასროლ პოზიციაზე რომ გასულიყო. ამასობაში სტეფანიამ მეოთხე პერსონალური მიიღო, ნავადმყოფარი ვაშაკიძეც დაიღალა და შეცვალეს. გამთამაშებლობა კი პერიოდულად უწევდათ ჩხეიძეს (!) და სანაძეს (!). შემდეგ კი დაუჯერებელი რამ მოხდა: ნაცვლიშვილმა ორი საჯარიმო გააცუდა, მაგრამ ბურთისკენ წასული დერიუგინი შტეინბაუერმა ხელით დაიჭირა და ახლა კოლია დადგა საჯარიმოს ხაზზე... ამანაც ორივე ააცილა. ჩვენების ნერვების მოშლა ჯამჩის რას გამოეპარებოდა: ჯერ მარტომ ათამაშა ბურთი 30 წამს და მერე ჩააგდო, ხოლო მომდევნო შეტევისას პანფელდი გაიყვანა გარღვევაზე. ისრაელელები 7 ქულით დაწინაურდნენ. ქართველებს კი ერთადერთი საშველი რჩებოდათ — ზონური პრესინგი. ამისთვის მოედანზე პირველად გამოჩნდა ბაქრაძე, რომელმაც დერიუგინი შეცვალა. სტეფანია უკვე გავარდნილი იყო და ჩვენები უცენტროდ იყვნენ. ბაქრაძემ, ვისაც თავის დროზე ზვი შერფი „არისში" წვრთნიდა, ვაჟკაცურად კი იბრძოლა, მაგრამ მაინც მარტოხელა მეომრად დარჩა. ებრაელებმა ნათლად გვიჩვენეს, თუ როგორ შეიძლება ზონური პრესინგის გარღვევა — სამი-ოთხი კლასიკური პასით ჩვენი დაცვა იშლებოდა და პანფელდმა ხომ მთლად აგვიკლო გვერდითი გარღვევებით. ვაშაკიძესაც ფეხი გადაუბრუნდა და ამით წარმატების თეორიული იმედიც მოგვესპო. ბოლო წამზე ჩხეიძის სამქულიანი წასვლისას კარის გაჯახუნებას უფრო ჰგავდა.

„ვითას" პრეზიდენტს თემურ დათიკაშვილს მატჩის კომენტარი ვთხოვეთ, პასუხად კი ზოგადი სიტუაციის დაკონკრეტება მივიღეთ: „ამ მატჩის წინ ისრაელში ვიყავი და ვნახე, როგორი ყურადღება ჰქონდა ისრაელის ნაკრებს. მიუხედავად კრიტიკული პოლიტიკური ვითარებისა, გუნდის მზადებას მთელი ქვეყანა ადევნებდა თვალს და ყველა ეხმარებოდა. ამას ვერ ვიტყვი საქართველოს ნაკრებზე. მისი ბედით მხოლოდ რამდენიმე ადამიანი და სპორტის დეპარტამენტია დაინტერესებული. ასეთი დამოკიდებულებით გვსურდა ისრაელის დამარცხება?!

აქამდე კალათბურთის დახმარების საკითხი სამთავრობო დონეზე არ დასმულა. ნაკრებისთვის არც ვინმეს მიუხედავს და არც ყურადღება მიუქცევია. რამდენიმე კაცი ნაკრებს რაღაც დონემდე მიიყვანს, დიდ შედეგს კი ვერ აჩვენებს. თამაში რომ შეგვიძლია, ამაში დღევანდელი მატჩის პირველი ტაიმიც დაგარწმუნებდათ. მაგრამ ეს არაფერია. თუ არ იქნა სახელმწიფო დახმარება და დაფინანსება, შეიძლება ითქვას, რომ ეს კალათბურთელებიც, რომლებიც დღემდე შემოგრჩნენ, მალე დაგვეფანტებიან".

მომდევნო მატჩს საქართველოს ნაკრები ხვალ გამართავს მინსკში ბელარუსის ნაკრებთან. ვაშაკიძის ადგილს პაატა გურასპაული დაიკავებს, ხოლო შენგელიას ნაცვლად გუნდში მიხეილ კობეშავიძე შეიყვანეს.

მერაბ რატიშვილი

| ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი<br>საქართველო — ისრაელი 84:89 (44:38)<br>სპორტის სასახლე. 12 ნოემბერი. 8 000 მაყურებელი<br>მსაჯები: კ. ბრუნა (ჩეხეთი), გ. ზემლინსკი (პოლონეთი) | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფ. არ. | საჯარიმო სულ | საჯარიმო + | ფოლი |
| 7 ტურაშვილი | — | — | — | — | — | — | — | 5 |
| 15 ჩხეიძე | 7 | 1 | — | — | — | — | — | — |
| 12 ქარაბაკი | 13 | 3 | 1 | 2 | — | 3 | 2 | — |
| 6 სტეფანია | 15 | 4 | 1 | 2 | 2 | 4 | 2 | 5 |
| 10 შენგელია | — | 3 | — | — | — | — | — | 2 |
| 4 ვაშაკიძე | 10 | 1 | 1 | 2 | — | 4 | 3 | 3 |
| 8 სანაძე | 15 | 1 | 1 | 2 | — | 3 | 3 | 1 |
| 11 დერიუგინი (კ) | 8 | 8 | — | — | — | 8 | 4 | 3 |
| 13 ნაცვლიშვილი | 10 | 4 | — | 1 | — | 10 | 6 | 3 |
| 5 ბაქრაძე | 6 | 1 | — | — | — | 5 | 4 | 3 |
| სულ | 84 | 26 | 4 | 9 | 2 | 37 | 24 | 25 |
| ისრაელი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფ. არ. | საჯარიმო სულ | საჯარიმო + | ფოლი |
| 6 კატაში | 14 | 2 | — | 1 | — | 8 | 7 | 3 |
| 7 კაცი | 11 | — | — | — | — | 1 | 1 | 4 |
| 12 ჯამჩი (კ) | 26 | 1 | — | — | — | 2 | 1 | 4 |
| 4 პანფელდი | 18 | 5 | 1 | 1 | — | 5 | 4 | 4 |
| 15 ფლეიშერი | 1 | 6 | — | — | — | 2 | 1 | 4 |
| 5 დანიელი | 10 | 2 | — | 1 | — | — | — | 5 |
| 10 შტეინბაუერი | 5 | 4 | 1 | — | — | 3 | 3 | 5 |
| 9 თორჯმენი | 1 | — | 2 | 1 | — | 2 | 1 | 2 |
| 14 შელეფი | 3 | 2 | 1 | — | — | 2 | 1 | 4 |
| სულ | 89 | 22 | 5 | 4 | — | 25 | 19 | 35 |



გია ახალაძის ფოტოები





# ბროლაძეც რომ არ მოსულიყო...

სპორტის თითქმის ყველა სახეობის მსგავსად, ხელბურთშიც რომ მსაჯთა [illegible] არაერთხელ თქმულა [illegible] ციის მესვეურებმა თითო-ოროლა ნაბიჯიც გადადგეს, თუმცა მდგომარეობა მაინც ვერ სწორდება. ის კი არა, საქმეს შემორჩენილი ხუთიოდე არბიტრიდან ზოგმა ოჯახური, ზოგმაც სხვა მიზეზით უარი განაცხადა ეროვნული ჩემპიონატის მომსახურებაზე. ამიტომაც იყო, რომ მთელი პირველი წრის მსაჯობა გია ბროლაძესა და იური კოსიაკოვს მოუწია, დღეში ზედიზედ სამი თამაშის გაძღოლა კი იოლი როდია.

კვირას კოსიაკოვმაც ვერ შეძლო თამაშზე მოსვლა, ამიტომ „სტუ-შევარდენისა" და „დინამო-ამირანის" პრინციპული მატჩის მსაჯობა ეულად დარჩენილ ბროლაძეს მოუხდა. ტურის ცენტრალურ შეხვედრას ყველა დიდი ინტერესით მოელოდა, რადგან სწორედ ამ გუნდებშია თავმოყრილი სადღეისოდ პრაქტიკულად ყველა ჩვენი უძლიერესი ხელბურთელი. გადინამოელებულ „ამირანს" ცდა არ დაუკლია მოედანზე, მაგრამ მაინც ვერას გახდა ჩემპიონთა უფრო სტაბილურ ანსამბლთან. თუმცა თავიდან თამაში „ქულა-ქულაში" მიდიოდა და სტუ-მ მხოლოდ ტაიმის მიწურულს მოახერხა საგრძნობლად დაწინაურება, მას შემდეგ, რაც 11 წუთი მშრალად შეინახა საკუთარი კარი.

შესვენების შემდეგ ტექნიკოსებმა უპრობლემოდ მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე.

ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონის „სტუ-შევარდენის" დამაჯერებელი სტარტი ჩვეულებრივი ამბავია. სამაგალითო სავარჯიშო და სათამაშო დისციპლინას სპორტსმენთა საუცხოო ფიზიკური მომზადება და უზადო ტექნიკაც ერთვის, ამიტომაც თითქმის შეუძლებელია მათი დამარცხება. ახალ სეზონში გუნდს მატერიალური ბაზაც გამოუკეთდა. საქმე ისაა, რომ სპორტული საზოგადოება „შევარდენი", რომელიც წინათაც გვერდში ედგა, ხანმოკლე ჩამოშორების შემდეგ კვლავ კლუბთანაა. ასე რომ, სადღეისოდ ჩემპიონთა კოლექტივს ორი მფარველი ჰყავს — სტუ-ს რექტორატი და „შევარდენი", რაც, იმედია, მომავალში სასიკეთო შედეგს გამოიღებს.

ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა „მამულის" თავდამსხმელი მერაბ უშვერიძე. მშვენიერი ფიზიკური მონაცემების (სიმაღლე 190 სმ, წონა 89 კგ) მქონე 22 წლის სპორტსმენმა ოთხ თამაშში 60 გოლი გაიტანა და ბევრით გაასწრო მდევრებს. მერაბმა ერთ მატჩში („მართვესთან") 23 ბურთი შეაგდო და სამით გააუმჯობესა ფოთის ოქროსვერძელი ზვიად შათირიშვილის წინა ჩემპიონატში დამყარებული რეკორდი.

გია ახალაძე

9 ნოემბერი. „სტუ-შევარდენი" — ჭაბუკთა ნაკრები 26:14, „დინამო-ამირანი" — „მამული" 31:23, „ოქროს ვერძი" (ფოთი) — „მართვე" 38:27.

10 ნოემბერი. „დინამო-ამირანი" — ჭაბუკთა ნაკრები 24:20, „მამული" — „მართვე" 36:27, „სტუ-შევარდენი" — „ოქროს ვერძი" 36:20.

12 ნოემბერი. „სტუ-შევარდენი" — „დინამო-ამირანი" 26:15, „მამული" — „ოქროს ვერძი" 10:0 (არ გამოცხადდა), ნაკრებისა და „მართვეს" შეხვედრა მოგვიანებით გაიმართება.

13 ნოემბერი. „სტუ-შევარდენი" — „მამული" 36:24, „დინამო-ამირანი" — „მართვე" 36:17, ჭაბუკთა ნაკრები — „ოქროს ვერძი" 29:22.

**პირველი წრის შემდეგ:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 5 | 0 | 0 | 164:91 | 10 |
| დინამო-ამირანი | 4 | 0 | 1 | 116:86 | 8 |
| მამული | 3 | 0 | 2 | 128:116 | 6 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 1 | 0 | 3 | 85:107 | 2 |
| ოქროს ვერძი | 1 | 0 | 4 | 80:112 | 2 |
| მართვე | 0 | 0 | 4 | 89:150 | 0 |

**ბომბარდირები:**

მერაბ უშვერიძე (მამული) — 60
ალეკო ბოყოჩაძე (სტუ) — 44
ტიტე კალანდაძე (სტუ) — 31
ლევან გელაშვილი (დინამო) — 29
გარი თურქია (სტუ) — 24
დავით ხორგუაშვილი (ოქროს ვერძი) — 22
კობა თორდია (დინამო) — 22
ბექა ორჯონიკიძე (სტუ) — 22
შოთა აბჟანდაძე (მართვე) — 19
გიორგი გვაზავა (ნაკრები) — 18

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

15 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სლოვაკეთი — რუმინეთი | 3,4 | 3,0 | 1,5 |
| საფრანგეთი — ისრაელი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| საფრანგეთი — ისრაელი (0:2) | 1,9 | 3,8 | 1,9 |
| აზერბაიჯანი — პოლონეთი | 6,0 | 3,5 | 1,1 |
| აზერბაიჯანი — პოლონეთი (2:0) | 1,6 | 4,0 | 2,2 |
| ესპანეთი — მაკედონია | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ესპანეთი — მაკედონია (0:2) | 1,7 | 4,0 | 2,0 |
| დანია — სომხეთი | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| დანია — სომხეთი (0:2) | 1,6 | 4,0 | 2,2 |
| კვიპროსი — ბელგია | 1,4 | 2,8 | 1,4 |
| შვედეთი — თურქეთი | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| სლოვენია— ხორვატია | 5,0 | 3,0 | 1,3 |
| იტალია — ლიტვა | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| იტალია — ლიტვა (0:2) | 1,9 | 3,8 | 1,9 |
| ჰოლანდია — ნორვეგია | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ჩეხეთი — ლუქსემბურგი | 1,1 | 3,0 | 10,0 |
| ჩეხეთი — ლუქსემბურგი (0:2) | 1,7 | 3,6 | 2,2 |
| პორტუგალია — ირლანდია | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ჩრდ. ირლანდია — ავსტრია | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| გერმანია — ბულგარეთი | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| ალბანეთი — უელსი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| მოლდოვა — საქართველო | | ანგარიში — 4,0 | |
| შოტლანდია — სან მარინო | 1,05 | 3,2 | 12,0 |
| შოტლანდია — სან მარინო (0:3) | 1,8 | 4,0 | 1,8 |
| საბერძნეთი — ფარერები | 1,05 | 3,2 | 12,0 |
| საბერძნეთი — ფარერები (0:3) | 2,0 | 4,0 | 1,7 |
| რუსეთი — ფინეთი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| რუსეთი — ფინეთი (0:2) | 2,0 | 3,8 | 1,8 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | | | | | | | 1-1 | | | 0-1 | | | | 3-2 | | | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | | | | | 1-0 | | | | 3-1 | | | 1-0 | | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | | | ■ | 4-1 | | | | | 2-0 | | 4-1 | | | | | 4-1 | | | | | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | | ■ | | 2-1 | | 0-2 | | | | 4-0 | | | | | 1-1 | | | | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | | | 2-1 | | ■ | | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | | | | | | | | | | | [illegible] |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | | | 4-2 | | | | | 3-1 | | | 4-2 | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | | 1-0 | ■ | | | | | 2-3 | | | | 2-0 | | | 3-0 | | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | | | | 2-0 | 1-0 | ■ | | | | | | 4-1 | | | | | | | | |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | | | | | | | | ■ | 1-5 | | 1-2 | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | | | ■ | 2-3 | | | 3-2 | | | | 2-0 | | | | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | | | 0-0 | | | | | 2-0 | | ■ | | | | 0-1 | 2-2 | | | 0-1 | | | |
| 12 | RACING SANTANDER | | | | | | | | 0-4 | | | | ■ | 0-0 | | | | 1-1 | | | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | 0-1 | | | 1-0 | | ■ | 1-2 | | | | 0-2 | | | | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | | | | 2-0 | 2-1 | 2-1 | | | | | | ■ | | | | | | | | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | | | 0-0 | | | 3-1 | | ■ | | | 3-3 | | | | |
| 16 | SALAMANCA | | | | | | | | | | 0-2 | | | 0-1 | | 2-1 | ■ | | | | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | 0-3 | | | | | 0-0 | | | | | | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | |
| 18 | CD TENERIFE | | 1-4 | | | | | 1-1 | 0-0 | 2-2 | | 3-3 | | | | | | | ■ | | | | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | 3-1 | 5-2 | | | | | 4-3 | | | 0-0 | | 1-1 | | | 1-0 | ■ | | | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | | 0-0 | | | 0-1 | | | | | | 3-0 | | | 3-3 | 3-0 | | ■ | | |
| 21 | RC CELTA VIGO | | | | | 0-1 | | | 0-3 | | | | | | 1-1 | | | 4-0 | 2-2 | | | ■ | |
| 22 | MERIDA | 1-1 | | | | | 1-0 | | | | | | 3-1 | | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA BERGAMO | ■ | | | | | | | 1-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | | | | 0-0 | | |
| 2 | AS BARI | 1-3 | ■ | 3-0 | | | | 1-0 | | 1-1 | | | | | 3-3 | | | | |
| 3 | US CAGLIARI | | | ■ | 1-0 | | | | | | | | | 0-2 | 0-1 | | | | 0-0 |
| 4 | US CREMONESE | 1-1 | | | ■ | | 0-0 | | | | | 0-2 | | 0-1 | | | | | |
| 5 | AC FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | | | | | | | | | 2-0 | 2:0 | | | |
| 6 | SAMPDORIA | | | 1-2 | | 2-1 | ■ | | 0-0 | | | 3-0 | | 1-1 | | | | | |
| 7 | AC MILAN | 3-0 | | | 3-2 | | | ■ | | | | | | | | | 2-1 | | 2-1 |
| 8 | INTER MILANO | | | | | | | 1-1 | ■ | | | | 0-0 | | 0-0 | 4-0 | | 1-0 | |
| 9 | SSC NAPOLI | | | | 0-0 | 0-2 | | | 2-1 | ■ | 2-0 | | | | | | | | |
| 10 | AC PADOVA | | | | | | | 1-2 | | | ■ | 1-3 | | | | 1-1 | | | |
| 11 | AC PARMA | | | | | 3-0 | 1-1 | | 2-1 | | | ■ | 3-2 | | | | | 1-0 | |
| 12 | PIACENZA | | 3-2 | | | | 3-2 | | | 0-1 | | | ■ | | | | | | 0-4 |
| 13 | AS ROMA | 0-1 | | | | | | 1-2 | | | | 1-1 | | ■ | 0-0 | | | | |
| 14 | LAZIO ROMA | | | | | | | | | | 2-0 | | 4-1 | | ■ | | 2-2 | | 4-0 |
| 15 | AC TORINO | | 3-1 | | | | 1-1 | | | 0-0 | | | | 2-2 | | ■ | | 1-0 | |
| 16 | UDINESE | | | 1-0 | 3-2 | | | | | | | | | | | 1-0 | ■ | 1-1 | 1-0 |
| 17 | VICENZA | | 2-0 | | | 1-0 | | 1-1 | | | 2-1 | | 1-1 | | | | | ■ | |
| 18 | JUVENTUS TORINO | | | | 4-1 | | | | | 1-1 | 3-1 | | | | | | | 1-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | | | | | | | | | 1-0 | 1-1 | | 1-1 | | | 4-2 | | 1-0 | |
| 2 | ASTON VILLA | | ■ | | 1-0 | 0-1 | | 1-0 | | | | 3-1 | | | 1-1 | | | | | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | | 3-0 | 5-1 | | | | | 1-2 | | | | 1-0 | | 2-1 | | | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | | 2-1 | ■ | | | 1-1 | | | | | 1-1 | 1-3 | | 0-1 | | | | | |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | | ■ | 2-2 | 0-0 | | | | 1-4 | | | | | 0-0 | 3-0 | | | |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | | | | ■ | | | | 2-1 | | | | 1-1 | | 0-1 | | 2-3 | | |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | | | | ■ | | | | 2-3 | | 1-3 | | | | 2-0 | 1-1 | | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | | | | 3-1 | | ■ | 1-0 | | | | | | 1-2 | 2-0 | | | | |
| 9 | FC LIVERPOOL | | | 3-1 | 5-2 | | 0-0 | | | ■ | 6-0 | | | | | 1-0 | 1-0 | | | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | | | 1-0 | | | 0-2 | 0-0 | | ■ | | 0-1 | | | | | | 1-1 | | |
| 11 | MANCHESTER UNITED | | | | 3-0 | | | | | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | | | | | | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | | | 2-0 | | 2-0 | 2-1 | | 1-1 | | | | ■ | | | 1-0 | | 0-0 | | | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | | | | | 2-0 | 3-0 | | | 1-1 | 3-1 | | 1-0 | ■ | | | | | | | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | | | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | | | 3-0 | | | | ■ | | | | | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | | | | | | | | | 1-0 | | | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | | | | | | | | 0-0 | 0-1 | 0-2 | | | ■ | | 1-3 | 0-1 | |
| 17 | FC SOUTHAMPTON | | | | | | | | 1-1 | 1-3 | | | | 1-0 | 3-4 | 2-0 | | ■ | | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | | 0-1 | | | | | | 2-1 | 1-3 | | | | 1-1 | 0-1 | | | | ■ | | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | | 1-4 | 1-1 | | 1-3 | | 2-1 | 1-2 | | | | | | | | | | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | | 3-2 | | | | 2-4 | 1-0 | | | | | | | 2-2 | 1-2 | | 0-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FORTUNA DUSSELDORF | ■ | | | | 2-2 | | 0-0 | 2-2 | | | 1-1 | -1 | | | | | | 1-0 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 1-1 | ■ | 2-2 | 1-1 | | | | | 1-1 | 1-0 | | | | | 2-0 | | | |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | 3-0 | | ■ | | | | | | 1-1 | | 3-0 | | 2-1 | 3-1 | | | 6-3 | |
| 4 | FC ST. PAULI | | | 0-3 | ■ | | | | | 1-2 | | 3-3 | | | 0-1 | 4-2 | | 1-3 | |
| 5 | FC HANSA ROSTOCK | | | 3-2 | 2-0 | ■ | 1-1 | | | | | | 1-2 | 2-3 | | | | 3-3 | |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | | | 3-4 | 2-2 | | ■ | | | 3-1 | 2-2 | | | | 4-1 | 4-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 0-1 | | 0-2 | | 2-0 | ■ | 0-3 | | | | | | | | 1-2 | | 1-1 |
| 8 | HAMBURGER SV | | 3-3 | | | 1-1 | | | ■ | 1-0 | 0-0 | | | | | 2-2 | 1-1 | | |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | 2-0 | | | | | | | | ■ | 2-2 | 1-1 | | 1-3 | 2-3 | | | 1-1 | |
| 10 | KARLSRUHER SC | 3-1 | | | | 0-2 | | 1-1 | | | ■ | 1-0 | | | 2-6 | | | | 2-0 |
| 11 | 1. FC KÖLN | | | | | | | 1-1 | 3-2 | | | ■ | 2-2 | 0-2 | | | 0-1 | | 0-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | | 2-2 | 1-1 | 1-1 | | 2-0 | | 0-1 | | | | ■ | | | | 0-0 | | |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | | 1-0 | | 2-4 | | 4-1 | 1-0 | | | | | 0-0 | ■ | | | 4-1 | | |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | | | | | | | 2-0 | 3-2 | | | | 1-0 | 1-2 | ■ | | | 5-3 | 2-0 |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | 2-1 | | | | 1-1 | | | | | 1-1 | 2-1 | | | 0-2 | ■ | | 1-1 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | 1-1 | | 1-2 | | 1-3 | | | | 1-1 | 2-1 | | | | | 1-1 | ■ | | |
| 17 | VfB STUTTGART | | 1-1 | | | | 3-2 | 3-1 | | | | | 1-4 | 5-0 | | | | ■ | 0-0 |
| 18 | UERDINGEN | | 3-0 | | | 1-1 | 1-1 | | 1-1 | | | | | | | 2-0 | 0-1 | | ■ |

დასაწყისი წინა სამშაბათის „სარბიელში"



# ესეც დჰაულაგირი!

დჰაულაგირის ძირში, საბაზო ბანკში 21 სექტემბერს ასულ ქართველ მთამსვლელებს იქ დამხვდური იაპონიის სამივე, ფრანგებისა და ესპანელთა გუნდების ალპინისტები, აგრეთვე პოლანდიის ერთკაციანი ექსპედიციის წევრი შერპებითურთ გამოეგებნენ. დიდი ხნის ნაცნობებივით შეხვდნენ ერთმანეთს, მერე კი ჩვენმა ბიჭებმა თავიანთი საბაზო ბანაკის მოწყობაც დაიწყეს. ორ დღეში ჯერ თავთავიანთვის ექვსი კარავი დადგეს, მეშვიდეში სამზარეულო მოაწყვეს, მერვეში, ყველაზე დიდში კი — სასადილო, სადაც ქვებისაგან მაგიდა და სკამები გააკეთეს. ეს კარავი გახლდათ თავისებური კლუბიც, სადაც ისინი იკრიბებოდნენ და ისვენებდნენ.

საბაზო ბანკში მყოფ შერპებს, თავიანთი რელიგიური ტრადიციისამებრ თოკები გაებათ, ზედ უამრავი სალოცავი „დროშა" აესხათ და აეფრიალებინათ. იქვე იყო წინა ექსპედიციების თანმხლებ შერპთა მიერ დატოვებული უამრავი სალოცავი ქვა, რომლებსაც ამშვენებდა ბუდას გამოსახულება და წარწერა: „ომ მანი პადმე ჰუმ" (ძვირფასი ქვა ლოტოსის ყვავილში).

ეს ყველაფერი იაპონელთა რელიგიურ გრძნობებსაც მალამოდ ეფინებოდა, რაკილა ისინიც შერპებივით ბუდისტები არიან.

დჰაულაგირის ძირში ბუდისტებზე მეტი ქრისტიანთა ექსპედიციები ასულან, მაგრამ არავის უფიქრია იქ თავიანთი სალოცავის მოწყობა, ჩვენმა მთამსვლელებმა კი ეს იაზრეს. გია თორთლაძემ ბავშვობისდროინდელი გატაცება, ქვისმთლელობა გაიხსენა და ფიქალზე ჯვარი ამოტვიფრა. მისი ექსპედიციის წევრებმაც ხელი გამოიღეს და ფიქალისაგან მოაწყვეს ისეთივე ნიში, როგორებიც მათ მშობლიური კავკასიის მთებში უნახავთ. იმ ნიშში დაასვენეს საქართველოდან წაღებული წმინდა გიორგის, მაცხოვრის, ღვთისმშობლისა და წმინდა ნიკოლოზის ხატები. მერე სანთლებიც დაანთეს, პირჯვარი გადაიწერეს, ღმერთს დჰაულაგირზე გამარჯვება და შინ მშვიდობით დაბრუნება შესთხოვეს.

და ბრძოლაც დაიწყო...

ამასობაში აქ ამოვიდნენ ბულგარელები, რომელთა ექსპედიციაში ბელარუსებიც გაერთიანებულიყვნენ, მერე ავსტრიელთა ექსპედიციაც გამოჩნდა. თითოეულმა ექსპედიციამ მთელი მარშრუტი მონაკვეთებად გაინაწილა და დაამუშავა, რაშიც მთამსვლელები ყინულსა თუ კლდეზე პალოების ჩასობასა და თოკების გაბმა-ჩამოკიდებას გულისხმობენ. ამგვარად მარშრუტი ბოლო, მესამე ბანაკის ზემოთაც მომზადდა. უთოკებოდ მხოლოდ ბოლო 270 მეტრილა დატოვეს, რაც ფაქტობრივად დაუცველად უნდა გაევლოთ.

ამ საქმეში ყველა მონაწილეობდა, გარდა ავსტრიელებისა, რომლებიც საბაზოში გვიან ამოვიდნენ და აკლიმატიზაცია ვერ მოასწრეს.

მანამ მარშრუტის დამუშავებას დაიწყებდნენ, ჩვენ მთამსვლელებს ჰოლანდიის ერთკაციანი ექსპედიციის წევრმა სთხოვა მარშრუტზე თქვენთან ერთად ვივლი, რომ მარტომ არ ვიხეტიალოო. რაკი ეს ორი ქვეყნის ექსპედიციების გაერთიანებას არ გულისხმობდა, ქართველები დათანხმდნენ.

დჰაულაგირზე ასასვლელად ბანკში კიდევ ერთი კაცი იყო — ალმაათელი ანატოლი ბუკრეევი. იგი უექსპედიციოდ ჩამოსულიყო და არც მწვერვალზე ასვლის ნებართვა ჰქონდა. და რაკი ქართველთა მოიერიშე ხუთკაციან ჯგუფს ლამის კიდევ ერთ ამდენ მთამსვლელზე ჰქონდა პერმიტი, ანატოლიმ ერთი ვაკანტური ადგილი ითხოვა. ჩვენები, ბუნებრივია, დათანხმდნენ, ოღონდ იმ პირობით, რომ იგი დამოუკიდებლად ივლიდა და პირველ ქართულ ჰიმალაურ ექსპედიციას არ გააინტერნაციონალებდა.

ანატოლისაც ეს უნდოდა, რადგან ისედაც მარტოს სურდა მწვერვალზე არბენჩამორბენა, ამ სიტყვის ლამის პირდაპირი მნიშვნელობით, რაკილა მას გეგმაში რვაათასიანების დალაშქვრა ერთ დღე-ღამეში აქვს გულში ამოჭრილი, თორემ სხვა მხრივ ბუკრეევს დჰაულაგირზე არაფერი დარჩენია, როცა იქ რთული მარშრუტით, დასავლეთის კედლით ავიდა.

ამ ალმაათელის პირველი რვაათასიანი იყო კანჩენჯანგა, სადაც იგი 1989 წელს სსრ კავშირის მეორე ჰიმალაური ექსპედიციის წევრებთან ერთად ავიდა და მის ხუთივე მწვერვალზე ტრავერსით გადაიარა. დიდი თოვლის ხუთი განძი, როგორც კანჩენჯანგა ითარგმნება, ბუკრეევმა მეორედაც დალაშქრა. ორ-ორჯერ ავიდა მაკალუზეც, ჩოგორიზეც და თვით დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზეც. ახლა, როგორც ვთქვით, დჰაულაგირზეც მეორედ ასვლა განიზრახა, თანაც ამ მწვერვალისთვის სარეკორდო დროში. უთქვამს, მეტი რა საქმე მაქვს, ცოლი მე არ მაწუხებს და შვილი. ჰოდა, ვირბენ ამ რვაათასიანებზეო, მაგრამ საბაზოში ასვლისთანავე იმის გახურებულ თავს ცივი წყალი გადაესხა და ავად გახდა, რის გამოც ჩვენი ექსპედიციის ექიმის ზურაბ ასტახიშვილის მოსავლელი გახდა და მარშრუტის დამუშავებაში სხვებთან ერთად ველარ ჩაება.

ისე, ის ცივი წყალი თავადვე გადაისხა — როცა ჩვენს მთამსვლელებთან ერთად დჰაულაგირის მისადგომებთან მიდიოდა, გზადაგზა ყინულივით ცივ ჩანჩქერებში დურთავდა ხოლმე თავს და ბანაობდა.

ანატოლი ბუკრეევის მსგავსი პირველი და უფრო დიდი შერეკილი, ვინც რვაათასიანების კოლექციის შეგროვება ერთ დღე-ღამეში ასვლა-ჩამოსვლით დაიწყო, გახლდათ ფრანგი ბენუა შამუ, რომელიც ოთხმოციან წლებში გადაირია.

იმ დროს ისე ჩანდა, თითქოს მთამსვლელებმა რვაათასიანებს წაართვეს ყველაფერი, რისი წართმევაც შეიძლებოდა. მართლაც, თითოეული ბუმბერაზი მრავალჯერ დაილაშქრა, დაილაშქრა ახალ-ახალი, რთული მარშრუტებით. ზოგმა მთამსვლებმა ყველა რვაათასიანზე შედგა ფეხი. ამ მწვერვალებზე ექსპედიციები მთლიანი შემადგენლობითაც ავიდნენ და ეულადაც დალაშქრეს. ზოგი დღისით ავიდა, ზოგი ღამით. ავიდნენ ზამთარშიც, მუსონების



ქართული სალოცავი ჰიმალაიზე

პერიოდშიც. ზოგმა მიზანს პრაქტიკულად უსაჭურვლოდ, წერაყინის ამარა მიაღწია. მაშ რაღა უნდა ელონათ მთამსვლელებს, რომელთა „სისუსტე" მხოლოდ ის იყო, რომ გვიან დაიბადნენ, წინამორბედებმა მათ ყველაფერში დაასწრეს და „ულუკმაპუროდ" დატოვეს?

ბენუა შამუც სწორედ ასეთ დროს გამოჩნდა ჰიმალაიზე და გადაწყვიტა ელვისებურ ასვლებში ეცადა ბედი. რვაათასიანები — დღე-ღამეში! და რაც შეიძლება მეტი! — აი, ეს იქნება ახალი სიტყვა ჰიმალაიზე, იფიქრა ამ გადარეულმა და 1985 წელს, როცა ოცდახამისა იყო, ყარაყორუმზე ალმართულ გაშერბრუმ-2-ზე (8035 მ) გავარდა. საბაზოდან მწვერვალზე 16 საათში ავიდა, უკან კი კისრისტეხით 7 საათში დაბრუნდა. სულ რაღაც ორიდე კვირის მერე იქვე ჰიდენ პიკზე (8068 მ) 23 საათში ავიდ-ჩამოვიდა.

მომდევნო წელს ბენუამ ახლა უკვე ბროუდ პიკი (8047 მ) საბაზოდან საბაზომდე 21 საათსა და 30 წუთში დალაშქრა. მერე დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალ ჩოგორის (8611 მ) ეკვეთა, მაგრამ ყარაყორუმის „პრინცად" სახელდებული ამ გოლიათის 24 საათში დამორჩილება ფრანგმა „მეტეორმა" ვერ შეძლო. იგი მწვერვალისკენ შუაღამისას მაშინ „გაიქცა", როცა 4-5 ივლისი ერთმანეთს შეხვდნენ. 16 საათზე მწვერვალზე აბრუცის ქედიდან აბობღდა და უმალ ქვემოთ დაეშვა. 7800 მეტრზე ღამე გაათია და 6 ივლისს 13 საათზე საბაზო ბანკში უკვე მხრებზე ხელს უბარტყუნებდნენ — 37 საათში ჩოგორიზე ასვლა-ჩამოსვლა ხომ მანამდე ფანტასტიკურად ჩანდა.

1987 წელს ახლა ნანგა პარბატზე (8126) დიამირის კედლიდან მიიტანა იერიში და 22 საათში საბაზოში გამარჯვებული დაბრუნდა.

ჩო ოიუზე (8189), ანაპურნაზე (8078) და ჯომოლუნგმაზე (8848) — ამ სამარათონე მწვერვალებზეც სპრინტერული სისწრაფით აპირებდა ასვლა-ჩამოსვლას, მაგრამ მერე, როცა ჩვენთან ქვეყანა აირია და თავდაყირა დადგა, ფრანგი კი არა, საკუთარი თავიც დაგვავიწყდა და მასზე აღარაფერი გვსმენია.

რა თქმა უნდა, ბენა შამუ ამ მწვერვალებზე კლასიკური მარშრუტით ადი-ჩამოდიოდა, რადგან სხვა გზებით ასეთი სირბილი ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება და საერთოდ, რვაათასიანებზე ჯამბაზობა, იქ უსაჭურვლოდ სიარული და სხვა მისთანანი, თუ კი ეს მისაღებია, მხოლოდ კლასიკურ მარშრუტზეა შესაძლებელი, თორემ ტექნიკურად რთულ ბუმბერაზზე მსგავსი რამ წარმოუდგენელია. ისიც უნდა ვთქვათ, რომ მთის „ესქპრესები" სხვათა მიერ წინასწარ დამუშავებულ მარშრუტებზე დაქრიან, მაგრამ პირველამსვლელთა ნაკვალევზე სიარულიც რომ მეტად ძნელია, ამაში დჰაულაგირზე ქართველი და იქ მყოფი სხვა მთამსვლელების მაგალითზეც დავრწმუნდებით.

ჩვენმა მთამსვლელებმა საკლიმატიზაციო ასვლები და საშუალედო ბანაკების მოწყობა 23 სექტემბერს დაიწყეს. საბაზოდან 40 წუთის სავალზე ყინვარი იწყებოდა. დაახლოებით 5200 მეტრის სიმაღლეზე ხშირი ქვათაცვენის გამო ძალზე სახიფათო მონაკვეთი იყო. თითქმის ყოველ ათ წუთში ქვა წყდებოდა, იმას სხვებიც მოყვებოდნენ და ჰაერში საფანტივით იფრქვეოდნენ. ბზრიალ-ბზრიალითა და ზუზუნით ტყვიასავით მოწუილობდნენ.

ასეა თუ ისე, იმ მყინვარიდან თოკებზე მოძრაობა დაიწყეს. აქ დაახლოებით 500-600 მეტრი თოკი გაიბ-ჩამოიკიდა. იმ დღეს 5700 მეტრზე ავიდნენ და იქ პირველი საშუალედო ბანაკი დადგეს. იქვე იაპონელთა სამივე ექსპედიციის ბანაკები დახვდათ.

— ბანაკების მეტი რა მინახავს, მაგრამ რაც იქ დაგვხვდა, ზღაპარს უფრო ჰგავდა. — იხსენებს გია თორთლაძე, — განსაკუთრებით იაპონელთა ერთი ბანაკი გამოირჩეოდა. იმ ბანაკის პატრონებს საქვეყნოდ განთქმული „სუზუკი" სპონსორობდა. იმავე ექსპედიციაში იყო „სუზუკის" პრეზიდენტის შვილიც. ჰოდა, [illegible] არაფრისთვის იშურებდა და მრავალი მებარგული და შერპა [illegible]. მათ [illegible] იქ 5[illegible] მეტრის სიმაღლეზე უშველებელი, ბრწყინვალე კარავი აეთრიათ და ისე ფუნდამენტალურად მოეწყოთ ბანაკი, თითქოს სამუდამოდ იქ ცხოვრებას აპირებდნენ. ორი მზარეულიც აეყვანათ და დაეტოვებინათ. ნიადაგ ცხელცხელი კერძები ჰქონდათ. საჭმლის გასაკეთებლად გაზქურა აეტანათ, იმ ქურისთვის ისეთივე ზომისა და წონის გაზის ბალონები აეზიდათ, როგორიც საქართველოში მრავლად გვინახავს. ჰოდა, იყვნენ ჩათბილულ-ჩალუწლულებულები. ახლა იმათი კავშირგაბმულობის საშუალებები უნდა გენახათ. აქ რომ ასე იყვნენ, თავად წარმოიდგინეთ, საბაზო ბანაკში როგორ მოეწყობოდნენ.

ჩვენმა მთამსვლელებმა იაპონელთა ახლოს რომ დასცეს კარავი, ღამე იქ გაათენეს, დილით კი ისევ ზემოთ, მეორეს მოსაწყობად გაემართნენ. 6200 მეტრამდე თოვლზე იოლი სავალი შეხვდათ, ერთმანეთის დაცვა არ დასჭირვებიათ. ამის მერე უკვე 500 მეტრამდე თოკების დაკიდება გახდა საჭირო და მასზე ჩაბმაც.

იმ დღესვე 6500 მეტრამდე ავიდნენ, ღამე იქ გაათენეს. სხვა მთამსვლელები ასე ბანაკ-ბანაკ რომ ადიოდნენ, კარავს დგამდნენ, ბარგს ტოვებდნენ და ქვემოთ ეშვებოდნენ და ამგვარად ეპარებოდნენ მწვერვალს. ქართველები იყვნენ ერთადერთნი, რომლებიც საკლიმატიზაციოდ იმ დღეს დადგმულ ბანაკში ღამეს ათევდნენ.

ის ღამისთევა მეორე ბანაკში მძიმე გამოდგა. ქახქახა ყინვამ მოუჭირა და ფეხების მოყინვას ბედად გადაურჩნენ. გამთენიისას ყველანი საბაზოში დაეშვნენ, იქ სამი დღე დაისვენეს. დასვენება რომ არ სდომებოდათ, მაინც იძულებულნი იქნებოდნენ იქ ეყურყუტათ, რაკი სამი დღე თოვდა და თოვდა.

29 სექტემბერს მოძრაობა ისევ განახლდა. ისევ პირველი ბანაკი და ღამისთევა, ისევ მეორე ბანაკი და... იგი სამი ბულგარელის მიერ დაპყრობილი დახვდათ, თუმცა იქვე მათი საკუთარი კარავიც იდგა, მაგრამ ჩვენი ბიჭებისა მოსწონებიათ და დაუსაკუთრებიათ, თან ქვემოდან ქართველების დატოვებული თბილი სამოსი, შალის სვიტერები თუ ბუმბულის ჟილეტები ამოუფენიათ, რომ თბილად ვიყოთო, მაგრამ ის ყველაფერი დასველებულა, გაყინულა და ისე გაფშეკილიყო, ურთი თუ დაამტვრევდა კაცი.

— იმ კარავში ცნობილ ბულგარელ მთამსვლელს, ილია ალექსანდროვს ეძინა — გვიამბობს გია თორთლაძე. — ასე, 60 წლისა იქნება. მისმა ორმა მეგობარმა გვითხრა, რა ხანია ვერაფრით გაგვიღვიძებიაო. ჩვენც ვაჯანჯღარეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. გამოღვიძების მოლოდინში თურმე ჟანგბადის ნაკლებობისაგან ცუდად გამხდარა და კვდებოდა. სასწრაფოდ ჟანგბადის ბალონი იყო საჭირო, მაგრამ ბულგარელებს არ ჰქონდათ, ჩვენ კი თბილისიდან ერთადერთი, 3-ლიტრიანი წავიღეთ და ისიც ნანახევროდ დაცლილი საბაზოში დავტოვეთ როგორც ზედმეტი ბარგი. მერე რაციით იაპონელებს დავუკავშირდით, რომ რაღაცით დაგვხმარებოდნენ საწყალი ბულგარელთა მეთაურის გადარჩენაში.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**გია თორთლაძის ფოტოები**

გაგრძელება იქნება



ქართველების მებარგულები



ბიძინა გუჯაბიძე 6100 მეტრზე. ეს ადგილი მერე ჩაინგრა და თავიდან გასაყვანი გახდა

ფორმულა 1

# ჰილის მოგება ჰაკინენის ავარიამ დაჩრდილა

სეზონის ბოლო გრან-პრის — ავსტრალიისას სიმბოლური მნიშვნელობა თუ ჰქონდა. ერთი, რომ 10-12 ნოემბერს იგი უკანასკნელად თამაშდებოდა ადელაიდის ქუჩებში, ვინაიდან კონკურენტმა მელბურნმა ამ ორი წლის წინ საერთაშორისო ფედერაციაში ჩაწყო და გაისიდან ტბის შემოგარენში გაშენებულ „ალბერტ პარკში" უმასპინძლებს მრბოლებს; მეორეც, საკითხავი იყო, გააუმჯობესებდა თუ ვერა აწ უკვე ორგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი ნაიჯელ მენსელის რეკორდს — სეზონში 9 გრან-პრის.

ყველაფერი დაჩრდილა პარასკევის ამბავმა. 240 კმ-სთ სიჩქარით მქროლი ფინელი მიკა ჰაკინენის „მაკლარენს" ოღრო-ჩოღროებში უკანა ბორბლის საბურავი გაუსკდა და საზარლად შეასკდა ჩამოწერილი საბურავებით აშენებულ დამცავ ჯებირს.



ბედშავი მიკა

მოვარდა სასწრაფო. ექიმები მრბოლს 15 წუთი მანქანაშივე წამლობდნენ, იქიდან კი ქალაქის სამეფო ჰოსპიტალში გააქანეს. ჰაკინენს ისე მძიმედ დაშავებოდა თავი, რომ რეანიმაციაში მოხვდა. ჰოსპიტალმა მისი მდგომარეობა კრიტიკულად შეაფასა. რაც შეეხება წინასწარ კვალიფიკაციას, იმარჯვეს „უილიამსებმა": დეიმონ ჰილს საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა, კულტჰარდს კი — მეორე.

შაბათს ჰაკინენი გონს მოვიდა. ექიმებმაც დიაგნოზი დააზუსტეს: ფინელს ტვინი კი არ დაშავებია, არამედ ოდენ შეერყა, ოღონდ ერთობ მძიმედო. ამ დღეს ძალიან ცხელოდა, რის გამოც ჰილის წინადღისეული შედეგი ვერავინ გააუმჯობესა. კვირის სტარტისთვის პირველ რიგში დადგომის უფლება მოიპოვეს ჰილმა და კულტჰარდმა, მეორეში — შუმახერმა და გერჰარდ ბერგერმა („ფერარი"), მესამეში — ჟან ალეზიმ („ფერარი") და ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმა („ზაუბერი"), შუმახერისა და ჰილის მოთხოვნით კი მასპინძლებმა უფრო დახვეწეს ზემოთხსენებული საბურავებიანი ჯებირი.

თავად 81-წრიანი რბოლა ჰილის ბენეფისი გამოდგა. კარიერის მე-13 გრან-პრი დეიმონმა დიდი სხვაობით, მთელი ორი წრით მოიგო, რაშიც ისიც ერთობ შეეწია, რომ სლიპინა ტრასაზე ერთბაშად 15 მრბოლს შეემთხვა მარცხი და გავარდა.

ბობოლებიდან პირველი კულტჰარდი გამოეთიშა შეჯიბრს — ბოქსიდან გამომავალი ბილიკის ჯებირს შეეჯახა, მერე ჰილის მდევრების — შუმახერისა და ალეზის მანქანათა ბორბლები წაედნენ ერთმანეთს, რამაც „შუმის" „ბენეტონს" უკანა შეკიდება დაუზიანა. ამათი გავარდნით იხეირეს ჯონი ჰერბერტმა („ბენეტონი") და ედი ერვაინმა („ჯორდანი"). ჰერბერტს მეორე ადგილი ბოლომდე რომ შეენარჩუნებინა, პილოტთა ჩემპიონატში მესამე ადგილს დაიჭერდა, მაგრამ მექანიკურმა პრობლემებმა ისიცა და ერვაინიც ბოლოსდაბოლოს გამოაკლო შეჯიბრს. ოლივიე პანისის „ლიჟიესაც" კვამლი აუვიდა, მაგრამ ფინიშამდე მაინც მიატანა და მეორე ადგილიც დაიჭირა. კარიერის საუკეთესო შედეგს — მესამე ადგილს მიაღწია ჯანი მორბიდელიმ („ეროუზი"), ქულების მომტან ექვსეულში კი დანარჩენი ადგილები ერგოთ მარკ ბლანდელს („მაკლარენი"), მიკა სალოს („თაირელი") და პედრო ლამის („პასიფიკი").

ჰაკინენმაც ამქვეყნისკენ მოიხედა. ჰილი საგაისოდ ერთობ იმედიანად განწყო მოგებამ — ოთხი თვე კარგად მოვემზადები და ხემი „უილიამსით" ვინძლო ვაჯობო შუმახერს, „ფერარით" რომ იასპარეზებსო.

„ალბერტ პარკში" 1996 წლის ჩემპიონატის პირველი ეტაპი 8-10 მარტისთვისაა დანიშნული. ამ დროს ავსტრალიაში შემოდგომაა.

თენგიზ არტამონოვი



მიხაელ შუმახერი

დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს ჰიურტ-ჰერმულჰაიმში (გერმანია). სიმაღლე 174 სმ, წონა 67 კგ. მეუღლე კორინასთან ერთად ცხოვრობს მონტე-კარლოსა და კერპენში (გერმანია). უყვარს იტალიური კერძები, ფორთოხლის წვენი და ცხადია, ლუდი. ჰობი: კარტინგი,ველოკროსი და თაილანდური კრივი. 1991 წლამდე გამოდიოდა კარტინგისტთა შეჯიბრებაში. იყო გერმანიის, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი. ფორმულა-1-ში დებიუტი — 1991 წლის 25 აგვისტოს ბელგიაში („ჯორდანის" გუნდში). პირველი გამარჯვება — 1992 წლის 30 აგვისტოს ბელგიაში („ბენეტონი"). მონაწილეობა მიიღო 69 რბოლაში, მოგებული აქვს 19 „გრან-პრი" (მე-9 შედეგი ფორმულის ისტორიაში); დააგროვა 303 ქულა (ასევე მე-9 მაჩვენებელი). „ბენეტონთან" შუმახერის წლევანდელი კონტრაქტი 10 მილიონ დოლარს შეადგენდა.

კოსტრუქტორთა ჩემპიონატი: ბენეტონი 137 ქულა; უილიამსი 112; ფერარი 73; მაკლარენი 30; ლიჟიე 24; ჯორდანი 21; ზაუბერი 18; თაირელი და ეროუზი 5-5; პასიფიკი 1

| FORMULA ONE | 1995 | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | XIII | XIV | XV | XVI | XVII | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიხაელ შუმახერი | ბენეტონი | 10 | 4 | - | 10 | 10 | 2 | 10 | - | 10 | - | 10 | - | 6 | 10 | 10 | 10 | - | 102 |
| დეიმონ ჰილი | უილიამსი | - | 10 | 10 | 3 | 6 | - | 6 | - | - | 10 | 6 | - | 4 | - | 4 | - | 10 | 69 |
| დევიდ კულტჰარდი | უილიამსი | 6 | - | 3 | - | - | - | 4 | 4 | 6 | 6 | - | - | 10 | 4 | 6 | - | - | 49 |
| ჯონი ჰერბერტი | ბენეტონი | - | 3 | - | 6 | 3 | - | - | 10 | 3 | 3 | - | 10 | - | 2 | 1 | 4 | - | 45 |
| ჟან ალეზი | ფერარი | 2 | 6 | 6 | - | - | 10 | 2 | 6 | - | - | - | - | 2 | 6 | 2 | - | - | 42 |
| გერჰარდ ბერგერი | ფერარი | 4 | 1 | 4 | 4 | 4 | - | - | - | 4 | 4 | - | - | 3 | - | 3 | - | - | 31 |
| მიკა ჰაკინენი | მაკლარენი | 3 | - | 2 | - | - | - | - | - | - | - | - | 6 | - | - | - | 6 | - | 17 |
| ოლივიე პანისი | ლიჟიე | - | - | - | 1 | - | 3 | - | 3 | - | 1 | - | - | - | - | - | 2 | 6 | 16 |
| ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი | ზაუბერი | - | 2 | 1 | - | 1 | - | - | 1 | - | 2 | 3 | 4 | 1 | - | - | - | - | 15 |
| მარკ ბლანდელი | მაკლარენი | 1 | - | - | - | 2 | - | - | 2 | - | - | 2 | 3 | - | - | - | - | 3 | 13 |
| რუბენს ბარიკელო | ჯორდანი | - | - | - | - | - | 6 | 1 | - | - | - | 1 | - | - | 3 | - | - | - | 11 |
| ედი ერვაინი | ჯორდანი | - | - | - | 2 | - | 4 | - | - | - | - | - | - | - | 1 | - | 3 | - | 10 |
| მარტინ ბრანდლი | ლიჟიე | - | - | - | - | - | - | 3 | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | 7 |
| ჯანი მორბიდელი | ეროუზი | - | - | - | - | - | 1 | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | 4 | 5 |
| მიკა სალო | თაირელი | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | 2 | - | - | - | 1 | 2 | 5 |
| ჟან-კრისტოფ ბულიონი | ზაუბერი | - | - | - | - | - | - | - | - | 2 | - | - | 1 | - | - | - | - | - | 3 |
| აგური სუძუკი | ლიჟიე | - | - | - | - | - | - | - | - | 1 | - | - | - | - | - | - | - | - | 1 |
| პედრო ლამი | პასიფიკი | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | 1 | 1 |

რაგბი

**წინა უქმეებზე** სამი ტესტი იყო, ამეებზე კი ოთხი გველის: შაბათს, 18 ნოემბერს ინგლისი თვიქნემში (ლონდონი) ეთამაშება სამხრეთ აფრიკას, საფრანგეთი პარიზში — ახალ ზელანდიას, შოტლანდია მარიფილდში (ედინბურგი) — მანუ სამოას, ირლანდია კი დუბლინში — ფიჯს. ერთი სიტყვით, წლევანდელი მსოფლიო თასის ერთბაშად შვიდი მეოთხედფინალისტი დაავგმოვნებს ტესტ-რაგბს.

### საფრანგეთი 22-15 ზელანდია

შაბათის უმთავრესი თამაში ტულუზში გაიმართა. ფრანგებმა შარშან სტუმრად სერია 2-0 მოუგეს ზელანდიას. „ოლ ბლექსმა" მაშინ პირველად ათამაშა ჯეელი ლომუ, რომელიც ერთობ გულუბრყვილო ვინმე იყო და ბევრჯერაც მოტყუვდა.

მას აქეთ ლომუ განათლდა და ზელანდიას კინაღამ მსოფლიო თასიც მოაგებინა. სამხრეთ აფრიკაში ფრანგებმაც კარგად ითამაშეს, მაგრამ „ოლ ბლექსთან" შეხვედრამ არ მოუწიათ.

მეტოქეებს დანაკლისი დიდი ჰქონდათ: „ოლ ბლექსს" ევროპაში დაემტვრნენ 10 ნომერი მერთენსი და ფრთის მორკინალი კრონფელდი. ორივე შინ ვადამდე გაისტუმრეს. „მამლების" უფროსობამ დაუჯერა ფედერაციას და გუნდში არ შეიყვანა სამი ვარსკვლავი — რუმა, კაბანი და ლაკრუა, რომლებიც სამხრეთ აფრიკაში დარჩნენ და იქაურ ქარრის თასში იასპარეზეს.

სამეულის დასჯამ აღაშფოთა ნაკრების სხვა წევრები. მათ გასამრჯელოცა და მატჩის ბილეთების საკუთარი წილიც იცოტავეს, რის გამოც არ დაესწრნენ წვეულებას, ტულუზის მერმა ხუთშაბათს რომ დანიშნა ტესტის მონაწილეთათვის.

ვალში არც უფროსობა დარჩენილა. ნაკრების ახალმა მენეჯერმა ანდრე ერერომ შეურაცხყოფად მიიღო მოთამაშეთა შანტაჟი და დაიქადნა, ამ ტურნეს ჩავამთავრებ, მერე კი დაუყოვნებლივ გადავდგებიო. ამგვარი შინაშლილობის გამო არავინ ელოდა მასპინძელთა კარგ თამაშს.

ასეც გამოვიდა, ოღონდ ძლიერი ქარის გამო. გუნდებმა ლაღად ვერ იბურთავეს.



„მამლების" კაპიტანი სანტანდრე

## ტრიუმფი ქარში

ფრანგებმა ჭიდილში აიყოლიეს ზელანდიელები. განსაკუთრებით ისახელა თავი ორმეტრიანმა ოლივიე მერლმა, ვინაც ფრანგ მორკინალთა ლიდერი იყო.

„ოლ ბლექსი" დათითოკაცებულიყო. ბურთი გარემარბებამდე — რაშამდე და ლომუმდე ვერ აღწევდა. ლომუს ერთადერთხელ ელირსა განავარდება, მაგრამ ოთხმა მეტოქემ ძირს დასცა.

მასპინძლებს შუამარბებად ახალბედები — თომას კასტანიედი და რიშარ დუტი კი ეყენათ, მაგრამ ზელანდია მაინც დაჯაბნეს. კასტანიედს თავიდან ორი საჯარიმო გაუცუდდა, მაგრამ მერე ერთობ შორიდან გახსნა ანგარიში, თუმც სტუმართა 10 ნომერმა საიმონ ქელეინმა მყის გაათანაბრა 3:3.

მე-17 წუთზე პირველი ლელო გავიდა: ბურჯმა კალიფანომ მცველ ჟან-ლუკ სადურნის მისცა ბურთი, ამან კი 50-მეტრიანი რეიდი კარსუკან გატანილი ლელოთი დაასრულა 10:3. 30-ე წუთზე ფრანგებმა დაუფარეს ქელეინს; დუტმა გაიტანა მეორე ლელო; კასტანიედმა ესეც გარდასახა 17:3.

მეორე ნახევარში „ოლ ბლექსი" წამოეწია მეტოქეს — ქელეინმა 62-ე წუთისთვის კიდევ ოთხი საჯარიმოს გატანა მოასწრო 15:17, მაგრამ 71-ე წუთზე ფრანგთა მიძალებამა და ზეწოლამ თავისი გაიტანა: ქელეინს ისევ დაუფარეს, რაც „მამლების" კაპიტნის — ფილიპ სანტანდრეს გადამწყვეტი ლელოთი დასრულდა 22:15.

30 ათასი ქომაგის თვალწინ საფრანგეთმა ლელოებით 3-0 მოიგო და საპატიო წრეც შეასრულა. ტულუზმა ტესტს 1986 წლის შემდეგ პირველად უმასპინძლა. თუ ფრანგები „პარკ დე პრენსზეც" მოიგებენ, გაიმეორებენ აფრიკელი „ქურციკების" რეკორდს: ამათ 1949 წელს ზედიზედ ოთხჯერ დაუმარცხებიათ „ოლ ბლექსი".

### უელსი 19-15 ფიჯი
### იტალია 21-40 ს. აფრიკა

უელსი ფიჯს **10:0** უგებდა, მაგრამ თამაშის ბოლოს თავს მედგრად იცავდა. ზღვისრეთელები — ბოგისა, მასირევა, რაულუნი, რაიასი და ბარი ისე აბურთავდნენ, მათს სახელოვან წინამორბედებს რომ სჩვეოდათ: **1964** წელს „არმზ პარკზე" ფიჯს ხომ ოდენ **22:28** (ლელოებით **6-7**) წაუგია იმხანად ბრიტანეთის უძლიერეს გუნდთან — უელსთან. ფიჯმა ამჯერად ათამაშა „ოლ ბლექსის" შუამარბ ვოლტერ ლითლის ძმა ლორენსი. იმ დღეს ტულუზში ვოლტერიც თამაშობდა და კინაღამ ლელოც გაიტანა, მაგრამ ძმებმა მაინც ორმაგი მარცხი იწვნიეს.

სამხრეთმა აფრიკამ მსოფლიო თასის მოპოვების შემდეგ პირველად ითამაშა სტუმრად. მართალია, რომში პირველი ტაიმი **17:6** მოუგო იტალიას, მაგრამ 55-ე წუთზე მასპინძლები უკვე **21:17** იგებდნენ. უფრო მარდმა და ღონიერმა „ქურციკებმა" ბოლოსდაბოლოს კი გაიმარჯვეს, მაგრამ ისიც დააფიქრებდათ, რომ ორი კვირით ადრე ზელანდიამ იტალიას 70:6 მოუგო. აფრიკელებმა ოთხი ლელო გაიტანეს, ჯოელ სტრანსკიმ კი დარტყმებით **20** ქულას მოუყარა თავი.




## აქეთური, იქითური

გამერიკელებული ნიგერიელი აკიმ ოლაჯუონი შეიქნა **21**-ე მოთამაშე, ვინც კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში (ნბა) **20**-ათასქულიანი ზღვარი დაძლია. „ჰიუსტონ როკიტსის" ცენტრმა აკიმმა ეს შეძლო პარასკევს, როცა **21** ქულა ჩაუგდო „მინესოთა თიმბერვულვზს". „როკიტსმა" გაიმარჯვა **119:97**.

*

წინა კვირაში ჩინეთმა პირველად უმასპინძლა დიდ გოლფს. იქ გაიმართა გუნდური მსოფლიო თასი, რომელშიც **32** ქვეყნის თითო წყვილი ჩაება. შეჯიბრი შუნძენში, „მიშნ ჰილზის" კლუბში ჩატარდა და უამრავი მკვიდრიც მიიზიდა. მათი ცნობისწადილი ისეთი ყოფილა, რომ შაბათს ზელანდიელი ფრენკ ნობილოსათვის ბურთიც კი მოუპარავთ. ერთობ დამაჯერებლად გაიმარჯვა აშშ-ის დუეტმა — ფრედ კაპლზმა და დევის ლავ-მესამემ, რომლებმაც საერთო ძალისხმევით ნორმაზე **33** დარტყმით უკეთესი შედეგი გაახერხეს და **14** დარტყმით ჩამოიტოვეს მეორე ადგილზე გასული ავსტრალიელები. გამარჯვებულებს ჯილდოდ **200** ათასი დოლარი ერგოთ. მეტი, **400** ათასი მიითვალა ამერიკელმავე ბენ კრენშოუმ, ვინაც ჰავაიზე მოიგო „გოლფის დიდი სლემი", რომელშიც სეზონის ოთხი მთავარი შეჯიბრების — აშშ-ის საოსტატოს, ღია პირველობისა და პროფესიონალთა ასოციაციის ჩემპიონატის, აგრეთვე ბრიტანეთის ღია პირველობის გამარჯვებულები მონაწილეობდნენ. კრენშოუს შედეგია **140**, ქორი პეივინისა (აშშ) და სთივ ელქინგთონისა (ავსტრალია) — **141**, ხოლო ჯონ დეილისა (აშშ) — **147**.

*

ფრანგმა ქალმა ჟანი ლონგომ ხუთშაბათს, ბორდოს ტრეკზე სცადა გაეუმჯობესებინა წელს, ივნისში ბრიტანელი ივონ მაკგრეგორის მიერ დამყარებული საათიანი ველორბოლის მსოფლიო რეკორდი (**47 411** მეტრი), მაგრამ ერთი კილომეტრი დააკლდა.

*

საბერძნეთის ოლიმპიურ კომიტეტს მოუთხოვია, ოლიმპიურ მოძრაობაში განსაკუთრებული ღვაწლის გამო **2008** წლის თამაშები ულაპარაკოდ ათენში გაგვამართვინეთო. ბერძნებმა ერთხელ, **1989** წელს უკვე სცადეს ამგვარი ოინი, მაგრამ **1996** წლის თამაშების მასპინძლობა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) მაინც ატლანტას (აშშ) დააკისრა.

*

ანდრე აგასი ვერ ითამაშებს ვაჟ პროფესიონალთა ასოციაციის ტურის მსოფლიო ჩემპიონატში, იქეთა კვირაში ფრანკფურტში რომ გაიმართება. მიზეზი მკერდის კუნთის ტრავმაა. მსგავსი მიზეზის გამო ქალთა ანალოგიურ შეჯიბრს, ამ კვირაში ნიუ-იორკში რომ ჩატარდება, გამოაკლდა მონიკა სელეში. სამაგიეროდ, ითამაშებს შტეფი გრაფი, ვინაც წინა კვირაში ფინალში ლორი მაკნილის **6:1, 4:6, 6:3** ძლევით მოიგო ფილადელფიის ტურნირი. ვაჟთა ტურზე ორი შეჯიბრი იყო — სტოკჰოლმსა და მოსკოვში. ფინალში პირველგან თომას ენკვისტმა (შვედეთი, **2**) დაამარცხა არნო ბეჩი (საფრანგეთი, **5**) **7:5, 6:4**, მეორეგან კი კარლ-უვე შტეებმა (გერმანია) — დანიელ ვაჩეკი (ჩეხეთი) **7:6, 3:6, 7:6**. პირველ ნომრად განთესილები ასე გავარდნენ: მოსკოვში ევგენი კაფელნიკოვს ნახევარფინალში აჯობა ვაჩეკმა **7:6, 3:6, 7:6**, სტოკჰოლმში კი ჯიმ კურიე მეოთხედფინალში გააგდო დავიდ პრინოზილმა (გერმანია) **6:3, 7:6**, ვისაც მერე ბეჩმა **6:1, 1:6, 7:5** მოუგო.

## ჯა..ირ ხანების საუფლო

26 წლის პაკისტანელი მესქვოშე ჯანშირ ხანი მეშვიდედ გახდა მსოფლიოს ღია ჩემპიონატის გამარჯვებული. შაბათს, ნიქოზიაში (კვიპროსი) დასრულებული შეჯიბრის ფინალში ხანმა საათი და 40 წუთი მოანდომა ინგლისელი დელ ჰარისის ძლევას 15:10, 17:14, 16:17, 15:8. წინა ჯერზე ჯანშირს მასხებრ გასძალიანებია ავსტრალიელი ქრის დიტმარი, ვისაც ხანმა 1989 წლის ფინალი ხუთ ხელში მოუგო.

ჯანშირმა „ვულდ ოუპენების" მოგებით კი გაუსწრო წინამორბედსა და თანამემამულე ჯაჰანგირ ხანს, მაგრამ როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ჯაჰანგირი მაინც სულ სხვა იყო: ერთი, რომ 10-ჯერ მოუგია „ბრითიშ ოუპენი", და მეორეც, მოქნილი ჯანშირისგან განსხვავებით მეტოქეებს თურმე ოდენ ძალითა და შემართებით თრგუნავდა.

ჯაჰანგირი კარიერის ბოლოს ტრავმებმა გატანჯა. თამაშს შარშანწინ მიანება თავი. ეს ამბავი მოხდა ყარაჩში. იქ პაკისტანმა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ფინალში ავსტრალია გაანადგურა.

ნიქოზიიდან მსოფლიოს სასქვოშო სამძოს ნალები კაიროს ჩასულან. იქ დღეს იწყება მორიგი გუნდური პირველობა. ჩემპიონი პაკისტანი ავსტრალიის შემდეგ მეორე ნომრადაა განთესილი, რაც აზიელებს აცოფებთ, მაგრამ მსოფლიო ფედერაცია თავის გადაწყვეტილებას მაგრად იცავს, ჯაჰანგირის წასვლით ისეთი ძალა გამოგაკლდათ, რომ ავსტრალია გუნდად ნამდვილად გჯობიათო.

კაიროში პაკისტანი ქვეჯგუფში ინგლისთან მოახვედრეს. სამაგიეროდ, ეგვიპტესა ჰყავს იოლი მეტოქე — შვედეთი. თავისი მესქვოშე ბიჭების საცქერად თვით პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი აპირებს მიბრძანებას, რის გამოც ინგლისი — პაკისტანის მატჩი რიგითი, სქვოშის ერთგული მაყურებლისათვის მოუხერხებელი დროისთვის გადაუდიათ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)
კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29